ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 9 მაისი, 2019 №108 (8062) ფასი: 60 თეთრი

გვ.7

როენა ხუცურაული დააკავეს

მას და 2 პირს ბრალად ედება პროსტიტუციის ხელშეწყობა და პროსტიტუციისთვის ფართის გადაცემა

7 მაისიდან

ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი

პატარა პრინცი

„მე მიყვარს კითხვა“



ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

თაკო ჩარკვიანი: „ივანიშვილი საქართველოს დამოუკიდებლობას საფრთხეს უქმნის“

„ივანიშვილი რუსეთის ინტერესების მიზნით 2 ჯგუფს გამოაგდებს. არ დავთმობთ და შიმშილობას დავიწყებთ“

გვ.4



გვ.2

ბექან ნათელაშვილი: „ოლიგარქისთვის უკვე გამზადებულია მატროსოვის ციხის საკანი“

„ბიძინა ივანიშვილი დამკაშია გასული“

დავით ზურაბიშვილი: „ტერორისტობის დაბრალება მაჩალიკაშვილის დისკრედიტაციის მცდელობაა“

გვ.3

გვ.3

თამარ ჩხეიძე: „რუსთავი 2“-ის მიმართ ხელისუფლება დაანონსებულ მუქარას ასრულებს“

სამართალი

გვ.7

სოსო გოგაშვილი: „მალხაზ მაჩალიკაშვილი ეტაპობრივად ემზადებოდა ჩემი და ჩემი ოჯახის განადგურებისთვის“

დავით ბაგრატიონ-მუხრანელს ანა ბაგრატიონისთვის 15.500 ლარის გადახდა დაეკისრა

რუსთავი-თბილისის მაგისტრალზე ბმვ-მ ქვეითი გაიტანა

ეკონომიკა

გვ.6

დემურ გიორხელიძე: „მოლოდინები ნეგატიურია“

საქართველოს ბანკნოტებში ყველაზე მეტი ყალბი 100-ლარიანია გამოვლენილი

გვ.2

ქვეყანაში არსებული 15 ბანკიდან 10-ის მოგება შემცირებულია

გვ.6

მამუკა ბახტაძე: „გვაქვს მოლოდინი, რომ განათლების სექტორი გახდება დომინანტი ჩვენს ეკონომიკაში 11-12%-იანი წილით“

ISSN 1987-9385

4 საქართველოში უქმე დღეების რაოდენობა, შესაძლოა, გაიზარდოს

5 ანზორ ბიწაძე: „2011 წლის 26 მაისი შეცდომა არ ყოფილა“

4 გიორგი ვაშაძე: „ჩვენ ყველანი დავიცავთ რუსთავი ორსა და სიტყვის თავისუფლებას“

8 სროლა ამერიკის სკოლაში 1 მოსწავლე დაიღუპა

„ბიძინა ივანიშვილი დამკაშია გასული“

ბეჟან ნათელაშვილი: „ოლიგარქისთვის უკვე გამზადებულია მატროსოვის ციხის საკანი“

შორენა მარსაგიშვილი

ვინ დგას ცხვრების დაკვლის აკრძალვის მოთხოვნის უკან, რატომ გამოაცხადა პარლამენტმა საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნად, რა ბედი ელის ბიძინა ივანიშვილს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის წევრი ბეჟან ნათელაშვილი ესაუბრება.

– საქართველო ყოველთვის ითვლებოდა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნად. რა საჭირო იყო ამის ოფიციალურად გამოცხადება?

– რა საჭირო იყო და სამყაროს ცენტრის, ბიძინა ივანიშვილის გარეშე არაფერი უნდა გადაწყდეს, ვიდრე ამ კაცმა ამაზე კურთხევა არ მოგვცა. საქართველო რომ ღვთისმშობლის წილხვედრია, ამას დამაჯერებლობა აკლდა. ეს ყველაფერი ოლიგარქის სანოტარო კანტორას, რომელსაც, ბედის ირონიით, პარლამენტი ჰქვია, უნდა დაემტკიცებინა.

– სანოტარო კანტორაა პარლამენტიო, ახსენეთ და ეს ორგანო ივანიშვილის ყველა ახირებას მხარს უჭერს. რაც იმას უნდა, ყველაფერი ისე ხდება. ასეთ შემთხვევაში გვჭირდება საერთოდ პარლამენტი?

– პარლამენტი არც ახლა არ გვყავს. იმ ორგანოს, რომელიც ივანიშვილის სანოტარო კანტორაა, საკანონმდებლო ორგანოს ვერ ვუწოდებთ. პარლამენტის მსგავსად, არც მთავრობა გვყავს.

ის ხალხი, ვისაც დეპუტატებსა და მინისტრებს ვუწოდებთ, სინამდვილეში ოკუპანტები არიან, ისეთივე ოკუპანტები, როგორიცაა რუსეთი. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ ესენი ეთნიკურად ქართული წარმოშობის ინდივიდები არიან.

საქართველოს თავისი ისტორიის განმავლობაში არაერთი ეთნიკურად ქართველი დამპყრობელი უნახავს. ივანიშვილიც მათ რიცხვშია.

ისე გაეზარდათ ჭამაში მადა, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით აპირებენ მდინარეების გაქრობას, როგორც თერგი გააქრეს. ამას აკეთებენ იმისთვის, რომ დამპყრობელმა ივანიშვილმა და მისმა ხელის ბიჭმა კახა კალაძემ მილიარდები იშოვონ.

დავუბრუნდები საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრად გამოცხადებას და გეტყვით, რომ ეს მთელ საქრისტიანოს ღიმილს მოჰგვრის.

– რატომ მოჰგვრის ღიმილს?

– იმიტომ, რომ ღვთისმშობელსაც კი ბიძინას დასტური დასჭირდა საიმისოდ, რომ საქართველო მის წილხვედრ ქვეყნად ჩაითვალოს.

– ამის გაკეთება ივანიშვილს რაში დასჭირდა? საპატრიარქოს გაუგორა კოჭი?

– და შუაშია აქ საპატრიარქო? საქართველო საუკუნეებია, ითვლება ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნად. დღევანდელი საპატრიარქო დღითიდღე შორდება მართლმადიდებლობას. იქ მიმდინარე პროცესები სხვა დასკვნის გაკეთების საშუალებას არ მაძლევს.

„ვინც ცხვრის დაკვლის აკრძალვას ითხოვს, კეთილი ინებოს და ვეგეტარიანელი გახდეს!“

ივანიშვილს რაში დასჭირდა ამის გაკეთებაო, მკითხეთ და გეტყვით, ამ კაცს თავი სამყაროს შემქმნელი ჰგონია. იმდენად არაადეკვატური გახდა, სჯერა, რომ სამყაროს გაქრობაც კი შეუძლია.

– რამე ინფორმაცია გაქვთ ამასთან დაკავშირებით თუ ვარაუდის დონეზე საუბრობთ?

– რად მინდა ინფორმაცია. შეხედეთ ივანიშვილის ქმედებებს და აშკარაა, რომ ამ ადამიანს თავი სამყაროს მბრძანებელი ჰგონია.

ასეთი განწყობა რომ აქვს, ამაში მას თავისი მონებიც უწყობენ ხელს. ისინი მას ღამის ღმერთს ადარებენ და მის გარეშე ნაბიჯსაც კი არ დგამენ.

მისი ნების აღმსრულებელია პრეზიდენტად წოდებულიც. ისე, სადღაა პრეზიდენტი. ოლიგარქმა ეს ინსტიტუტი სასტიკად გააუპატურა.

სალომე ზურაბიშვილი ცალკე უბედურებაა. როგორც კი ეს ადამიანი პირს აღებს, ყველამ ვიცით, რომ საქართველოს რაღაც პრობლემები შეექმნება. საშინელ და ანტისახელმწიფოებრივ განცხადებებს აკეთებს.

საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრად გამოცხადება ნათელი დასტურია იმისა, რომ „ოცნების“ ლიდერი არაადეკვატურობის მეცხრე ცაზე იმყოფება.

– ამ ლოგიკით, შეიძლება გვითხრან, რომ ქრისტიანობა ივანიშვილმა შემოიტანა საქართველოში?

– თქვენ იცინით და, არ არის გამორიცხული, ამაზეც განაცხადოს პრეტენზიები. ხომ ხედავთ, როგორ შეუსია მთიანეთს თავისი ხალხი.

– რას გულისხმობთ?

– ოლიგარქის მსტოვრები დადიან აქეთ-იქით და ამტკიცებენ, რომ სალოცავში ცხვრის დაკვლა ბოროტებაა.

– თქვენ ცხვრის დაკვლის მომხრე ხართ?

– რა თქმა უნდა. ცხვრის დაკვლა ჩვენი რწმენის ნაწილია და რწმენის თავისუფლების შეზღუდვის უფლება კი არავის აქვს.

– ეკლესიის სიახლოვეს ამდენი დაკლული ცხვარი რწმენის თავისუფლებაა?

– ეს ერთგვარი ტრადიციაა. მე არ მინახავს, რომ დღეობის მეორე დღეს იქაურობას ასუფთავებენ.

ცხვრის დაკვლა არის ტრადიცია, რომელსაც კარგა ხანი ვერავინ მოშლის. ამიტომ ტყუილად ნუ დარბიან მისი მსტოვრები.

– ივანიშვილი რატომ უნდა იყოს ამის წინააღმდეგი? შეიძლება, არც კი იცის, რომ ცხვარს კლავენ.

– ძალიან კარგად იცის. ამის წინააღმდეგი ძირითადად მისი სასტავია. გამოდიან და საქონლის დაკვლას რელიგიას უკავშირებენ. უკაცრავად, მაგრამ საქონლის დაკვლა ისე არ ხდება? ხორცს რომ ყიდულობენ, რა ჰგონიათ, ხეზე იზრდება? ან ხინკალს რომ ჭამენ, რისგან მზადდება, არ იციან?

ზოგი გამოდის და ამტკიცებს, რომ ღმერთი არ ითხოვს საკლავის დაკვლას. ბოდიში შედარებისთვის, მაგრამ ხშირად არც ქალები ითხოვენ საჩუქრებს, მაგრამ მაინც ჩუქნიან.

ასევე ხდება საკლავის შემთხვევაშიც. გვინდა და ვკლავთ. ყველაზე სასაცილო ის არის, რომ ამ მოთხოვნას მწვადის ნაჭრით პირგამოტენილი ხალხი აჟღერებს.

– ეკლესიას რა პოზიცია აქვს ამასთან დაკავშირებით?

– საბედნიეროდ, აკრძალვას არ უჭერენ მხარს, მამაოებმა იციან, რომ ამის აკრძალვას თუ დაუჭირეს მხარი, ხალხი აიღებს დუქარდს (ცხვრის საკრეჭი მაკრატელი) და პირველ რიგში მათ გაკრეჭენ. შესაბამისად, უკვე გაპარსულები ითხოვენ ცხვრის დაკვლის აკრძალვას.

მივმართავ მათ, ვინც ამ აკრძალვას უჭერს მხარს: ჯერ თავად აკრძალონ ხორცის მიღება, ვეგეტარიანელები გახდნენ და მერე წამოაყენონ რაღაც პრეტენზიები.

– ვეგეტარიანელებს შეგვიძლია, ცხვირს დაკვლის აკრძალვა მოვითხოვოთ?

– ამ მოთხოვნის დაყენება არავის არ შეუძლია, მაგრამ ვეგეტარიანელებს მორალური უფლება მაინც აქვთ, რომ ამაზე ილაპარაკონ.

– აშკარაა, რომ ცხვრის დაკვლის თემაზე ვერ შევთანხმდებით და მოდით, ისევ პოლიტიკას დავუბრუნდეთ.

– დავუბრუნდეთ. დღევანდელი ხელისუფლება აგონიაშია. ეს თავად უწოდებენ ხელისუფლებას საკუთარ თავს, თორემ სად გვყავს ხელისუფლება. ხელისუფლებები ჰყავთ ნორმალურ, განვითარებულ ქვეყნებს.

– ხელისუფლება აგონიაშიაო და რამდენ ხანს გასტანს ეს აგონია ან რით დასრულდება ის?

– რით დასრულდება და თავადაც დასრულდებიან. თავისი დასაწყისი და დასასრული ყველაფერს აქვს.

„ოცნებას“ იმდენი აქვს მოპარული, იმდენი ადამიანი ჰყავს გაუბედურებული, რომ ძალიან ცუდად დაამთავრებენ. წყენა ხალხში გროვდება და ერთ დღესაც ვულკანივით იფეთქებს. ეს ვულკანი ყველაფერს წალეკავს. „ოცნებაზე“ არ ვდარდობ, მაგრამ ეს ქვეყანასაც დააზარალებს.

ამიტომ, უმჯობესი იქნება, თუ პროტესტი დაიწყება, მას ოპოზიციამ გაუწიოს კონტროლი. ხალხი ვიღაცამ უნდა გააჩეროს, თორემ ყველაფერს წალეკავს. ამდენი უკმაყოფილება ძალიან მწვავედ იფეთქებს.

„ოცნების“ ლიდერი ყველაფერს იკადრებს ძალაუფლების შესანარჩუნებლად, მაგრამ აღარ გაუვა, ივანიშვილი უკვე დამკაშია გასული. ის იმ შავი ხვრელისკენ მიექანება, რომლის ფოტოებიც ახლახან იხილა კაცობრიობამ.

ახლავე შემიძლია გითხრათ, თუ სად გააგრძელებს ოლიგარქი მოღვაწეობას. მისთვის უკვე მზად არის მატროსოვის ციხე. ამავე ციხეში ჩასვამენ მის მონებსაც. მათ გისოსებს მიღმა მრავალი წლის გატარება მოუწევთ.

საქართველოს ბანკნოტებში ყველაზე მეტი ყალბი 100-ლარიანია გამოვლენილი

საქართველოში გამოვლენილ ყალბ ბანკნოტებში პირველ ადგილზე 100-ლარიანია, მეორეზე – 50-ლარიანი, მესამეზე კი – 20-ლარიანი. ამის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის წლიურ ანგარიშშია საუბარი.

დოკუმენტის მიხედვით, 2018 წელს კომერციული ბანკებიდან, ვალუტის გადამცვლელი პუნქტებიდან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან, სამართალდამცავი ორგანოებიდან გაგზავნილ და ფიზიკური პირების მიერ მიწოდებულ 9 030 ცალ საეჭვო ფულის ნიშანზე ექსპერტიზა ჩატარდა, მათგან 6.737 ყალბი აღმოჩნდა.

ყალბი ფულის ნიშნების გადანაწილება ასეთია: ლარის ბანკნოტები – 4 865; ლარის მონეტები – 870; აშშ დოლარი – 608; ევრო – 198; სხვა უცხოური ვალუტა – 196.

ეროვნული ბანკის მიერ გამოვლენილი ლარის ყალბი ბანკნოტებიდან და მონეტებიდან 34.7 პროცენტი 100-ლარიანი იყო; 21.9 პროცენტი – 50-ლარიანი; 16.6 პროცენტი – 20-ლარიანი; 8.2 პროცენტი – 1-ლარიანი მონეტა; 6.9 პროცენტი – 50-თეთრიანი (1993 წლის). გამოვლინდა ყალბი 10, 5 და 200-ლარიანი ბანკნოტებიც, ასევე 10-ლარიანი მონეტაც.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2018 წელს გამოვლენილი ლარის ყალბი ბანკნოტების რაოდენობა 2017 წელთან შედარებით 5.5 პროცენტით, ხოლო აშშ დოლარის ყალბი ბანკნოტების რაოდენობა 3.3 პროცენტით შემცირდა.

1tv.ge

„სამგორი-ლილო-აეროპორტი“ – მეტროს მშენებლობაზე გამოცხადებულ კონკურსში ავსტრიულმა კომპანიამ გაიმარჯვა

როგორც „კომერსანტისთვის“ გახდა ცნობილი „სამგორი-ლილო-აეროპორტის“ მიმართულებით მიწისზედა მეტროსადგურის მშენებლობის პროექტირებასა და ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევაზე გამოცხადებული კონკურსი რამდენიმე დღის წინ დასრულდა და გამარჯვებულიც გამოვლინდა.

ILF Consulting Engineers Austria – ავსტრიულ კომპანიასთან ხელშეკრულება რამდენიმე დღეში გაფორმდება და დოკუმენტების ხელმოწერის შემდეგ, მომდევნო 15 თვის განმავლობაში გამარჯვებული კომპანია ვალდებულია წარმოადგინოს კვლევა-პროექტირება. ჯამში, ხელშეკრულების ღირებულება 12 მლნ. 762 ათას 530 ლარია.

დეტალებზე „კომერსანტს“ თბილისის სატრანსპორტო კომპანიის წარმომადგენლობა ესაუბრა:

– კვლევა-პროექტირების ჩატარების მიზანია მეტროს ორი ხაზის განვითარება. ორივეს შემთხვევაში ათვლის წერტილია მეტროსადგური სამგორი. პირველი გულისხმობს, რომ სამგორი-ლილო-აეროპორტის ხაზი საქალაქო რკინიგზისათვის გახდეს მოდიფიცირებული. კვლევა-პროექტირების მეორე ფაზა კი სამგორსა და რუსთავს შორის მონაკვეთის შესწავლას მოიცავს. აქ იგულისხმება ეკონომიკური კვლევა, ანუ რამდენად მიზანშეწონილია დაიგეგმოს ამ მიმართულებით სარკინიგზო ხაზის მშენებლობა.

შეგახსენებთ, „სამგორი-ლილო-აეროპორტის“ მიმართულებით მიწისზედა მეტროს მშენებლობის შესახებ ინფორმაცია თბილისის მერმა კახა კალაძემ გასული წლის ოქტომბერში გაავრცელა. მისი თქმით, ახალი მეტროსადგური დღიურად 200 ათას ადამიანს მოემსახურება. პროექტის განხორციელება 2019 წლის ბოლოდან დაიწყება და მიწისზედა მეტრო ექსპლუატაციაში 2020-2022 წლებში ეტაპობრივად შევა.

კომერსანტი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

თამარ ჩხეიძე: „რუსთავი 2“-ის მიმართ ხელისუფლება დაანონსებულ მუქარას ასრულებს“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს თამარ ჩხეიძეს

– ოპონენტები ხელისუფლებას ადანაშაულებენ სატელევიზიო მედიის დაქვემდებარების მცდელობაში. თქვენ რა მოსაზრება გაქვთ ამაზე?

– ხელისუფლებას რომ მედიის დაქვემდებარება და დამორჩილება უნდა, აშკარაა. ეს ისეთივე უდავოა, როგორც ის, რომ ორჯერ ორი ოთხია. დაახლოებით ორი წლის წინ იყო შეტევა რუსთავი 2-ზე. ახლა ახალი შეტევაა.

„რუსთავი 2“-ის მიმართ ხელისუფლება დაანონსებულ მუქარას ასრულებს. ბოლო არჩევნების პირველი ტურის წინ ბიძინა ივანიშვილმა მიმართა ამ ტელეკომპანიის წამყვან ეკა კვესიტაძეს და უთხრა, გასწავლით, როგორ უნდა იმუშაოთო. ამ დღეებში პარლამენტის თავმჯდომარე კობახიძემ განაცხადა, რომ ამ ტელევიზიაში სამართლიანობა უნდა აღდგეს. როცა ხელისუფლება, მმართველი პარტია, ასეა განწყობილი, მას არ უჭირს იმ ადამიანების გამოძებნა, რომლებიც ტელევიზიასთან ბრძოლაში გამოადგებათ. ასეთ სიტუაციაში ხან ერთ პირს იყენებენ, ხან – მეორეს.

თავდასხმები და წნეხი მხოლოდ ერთ ტელეკომპანიას არ ეხება. რუსთავი 2-ზე უფრო ძლიერი შეტევაა. ამ ხელისუფლების წნეხი შეეხო საზოგადოებრივ მაუწყებელს, ასევე საზოგადოებრივ მაუწყებელში შემავალ აჭარის ტელევიზიას. აჭარის ტელევიზიის ხელმძღვანელი ახლახან გაურკვეველი მიზეზით გაათავისუფლეს.

– ასე აწუხებს ხელისუფლებას ტელევიზიიდან წამოსული კრიტიკა და სინამდვილის ასახვა?

– ეს ხელისუფლებას დისკომფორტს უქმნის. მისთვის სრულიად მიუღებელია დამოუკიდებელი სივრცე.

– რუსთავი-2-ის წინააღმდეგ აგორებული ადრინდელი პროცესი შეჩერდა. ახლა რა მოლოდინი გაქვთ?

– მაშინ ეს შეტევა გააჩერა სტრასბურის სასამართლომ. თვითონ ხელისუფლება არ გაჩერდებოდა და საქმეს მიიყვანდა იქამდე, რომ ეს არხი, ფაქტობრივად, არ იარსებებდა. ახლაც მაქვს იმედი, რომ ხელისუფლებას არაფერი გამოუვა. ჩვენი, მოქალაქეების ვალია, არ დავუშვათ ის, რასაც „ქართული ოცნება“ აპირებს. საზოგადოების მხრიდან მეტი წინააღმდეგობაა საჭირო. ეს ერთი ტელეკომპანიის საქმე არ არის. რუსთავი 2 ასრულებს მნიშვნელოვან როლს ქვეყანაში და ხშირად აშუქებს იმას, რაც ცნობილი არ არის და რაც დაიმალებოდა.

– საზოგადოების წინააღმდეგობა სხვაგანაც საჭიროა? დავითგარეჯთან სამოქალაქო აქტივისტები დგანან. დავითგარეჯს თქვენ ჯერ კიდევ მაშინ იცავდით, როცა იქ საბჭოთა სამხედრო პოლიგონი იყო.

– დავითგარეჯი რთული თემაა. ეს ქართული სიწმინდე და დიდი ძეგლი ჩვენ არ უნდა დავთმოთ. წითელი ხაზები მოწინააღმდეგე მხარემაც არ უნდა გადაკვეთოს. სულ ერთია, ეს მოწინააღმდეგე მეგობარია თუ მტერი. ძალიან კარგია, რომ იქ სამოქალაქო აქტივობაა. მე მინდოდა იქ ჩასვლა, მაგრამ ჯერ ვერ მოვახერხე. საზოგადოებამ ყველას უნდა აჩვენოს, რომ ეს ჩვენი, ქართული ძეგლია. ამ სიტუაციაში საშიშია საზღვრის დემარკაციის დაჩქარება და მისკენ მოწოდება.

– რატომ?

– იმიტომ, რომ სიჩქარე შეიძლება საწინააღმდეგოდ მოგვიბრუნდეს. ჩვენ არ გვყავს საიმედო ხელისუფლება. ვის იმედად უნდა დავადგინოთ საზღვარი? ივანიშვილისა და მისი დეიდაშვილის იმედად? ეს ტერიტორია და ძეგლი ქართულია, მაგრამ ქართული მხარე სადემარკაციო მოლაპარაკებებზე, ალბათ, სუსტად იქნება წარმოდგენილი და მათ ამ საქმეს ვერ ვანდობთ.

საზოგადოება იქ უნდა იდგეს. მომლოცველები, სასულიერო პირები და ექსკურსანტები თავისუფლად უნდა მოძრაობდნენ. სამწუხაროდ, ამ მოვლენებიდან გამომდინარე გაისმა საშიში განცხადებები, რომლებიც საქართველოს მტრების, პირველ რიგში, რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს.

– რას გულისხმობთ?

– იყო ყოვლად დაუშვებელი გამოთქმები, რომლებიც გამოხატავდა ეთნიკურ და რელიგიურ მტრობას. ეს არაფრით არ შეიძლება. საჭიროა სიფრთხილე. ამ გამოთქმებს რუსეთი თავის სასარგებლოდ გამოიყენებს. კრემლს აწყობს დაპირისპირება საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის.

– პანკისის რეგიონში დაწყებულმა მოვლენებმა სხვა ელფერი შეიძინა. რას იტყვით ამ პრობლემებზე?

– დავიწყებ თემირლან მაჩალიკაშვილის ტრაგედიით. წინა ხელისუფლებასაც ჩაუდენია ბევრი სისასტიკე და ამ ხელისუფლებასაც ჰქონდა სხვა გადაცდომები, მაგრამ ასეთი შემაძრწუნებელი საშინელება სხვაგან არ მომხდარა. სპეცოპერაციის მონაწილეებმა საკუთარ ლოგინში მოკლეს 19 წლის ახალგაზრდა.

მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა, მაგრამ ხელისუფლებისგან არ მოგვისმენია ადეკვატური პასუხი, ბოდიში. არც ნამდვილი გამოძიება ჩატარებულა. მაჩალიკაშვილები, ისევე, როგორც პანკისის ხეობის თითქმის მთელი მოსახლეობა, შეგნებული, გაწონასწორებული და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხალხია. ეს ადამიანები განიცდიან იმას, რაც მოხდა. ხელისუფლება მათ პასუხს არ აძლევს და აქეთ იწყებს დევნას.

– მალხაზ მაჩალიკაშვილის წინააღმდეგ გამოთქმულ ბრალზე საუბრობთ?

– არ მჯერა, რომ მალხაზ მაჩალიკაშვილი დამნაშავეა. მის ტერორისტობას საერთოდ გამოვრიცხავ. ის იდევნება. დავუშვათ, რომ მას საუბარი ჰქონდა თავის ნათესავთან და ისინი შურისძიებას გეგმავდნენ. ამისი არ მჯერა, მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ასეა. ესეც დანაშაული იქნებოდა, მაგრამ – სხვა კატეგორიის. გაუგებარია ამის მიბმა ტერორიზმთან. ტერორიზმი სხვა მოვლენაა. ამ ლოგიკით, ნებისმიერი ქუჩური გარჩევა, ურთიერთსროლა ან დანაშაული შურისძიების მოტივით ტერორიზმი ყოფილა. ამ ბრალდებამდე ხელისუფლება არასწორად და ანტისახელმწიფოებრივად მოიქცა პანკისის ხეობაში.

– ჰესის აშენების საბაბით ბზობას განვითარებულ მოვლენებს გულისხმობთ?

– რასაკვირველია. ხელისუფლების ეს ქმედება ანტისახელმწიფოებრივიც იყო და არაადამიანურიც. მოსახლეობის მწვავე რეაქცია ამან გამოიწვია. გახარიას მუქარა დამნაშავეების დაჭერაზეც შეცდომაა. ამის შესრულება იქნება დაწყებული დანაშაულის გაგრძელება.

ჰესები კიდევ ცალკე თემაა. ნებისმიერი ჰესის მშენებლობისას აუცილებელია მოსახლეობის აზრისა და ეკოლოგიური შედეგის გათვალისწინება.

„ტერორისტობის დაბრალება მაჩალიკაშვილის დისკრედიტაციის მცდელობაა“

ნათია ხურცილავა

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ზურაბიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, მალხაზ მაჩალიკაშვილს ტერორისტული აქტი დააბრალეს, თუმცა, არ დაუკავებიათ, არადა, საქართველოს კანონმდებლობით, ტერორისტული აქტის მომზადება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით არის დასჯადი. რასთან გვაქვს საქმე?

– თუ ადამიანი ტერორიზმშია ბრალდებული და ამის მტკიცებულებები არსებობს, მაშინ, რა თქმა უნდა, დაკავებული უნდა იყოს. სუსს, ზოგადად ხელისუფლებას უნდა ვკითხოთ, რა ხდება?!

თუმცა, მაჩალიკაშვილი ბრალდებულია იმ ტერორისტული აქტის მომზადებაში, რომელიც არ შედგა. ეს კიდევ მეორე პარადოქსია. სუსის მიერ გაკეთებული განცხადება სრულიად გაუგებარი და არაკვალიფიციური იყო. ეს აჩენს იმის ეჭვს, რომ ეს უფრო იყო მალხაზ მაჩალიკაშვილის დისკრედიტაციის მცდელობა, ვიდრე სერიოზული საქმის გახსნა. თუ ტერორისტულ აქტთან გვაქვს საქმე, მაშინ უნდა დააკავონ, ტერორისტის გარეთ დატოვება არ გამიგია. თან იძახო, რომ სოსო გოგაშვილის მამის საფლავზე უნდოდა თავის აფეთქება და თან მამის გარდაცვალების დღესო, რომელიც 4 მაისს იყო, ეს დრო გასულია. რას ელოდებოდნენ?! აფეთქებას ელოდებოდნენ, თუ ამას აპირებდა ეს კაცი, აქამდე რატომ არ იმოქმედეს?! ამით რას ამტკიცებენ?! რას გვეუბნებიან?! გამოდის, პრევენციაც არ მოახდინეს.

ამიტომ სრულიად გაუგებარი და არაკვალიფიციური მოქმედებაა. ამ ყველაფრის შემხედვარე, ერთადერთზე ფიქრობ: რა სახელმწიფოში ვცხოვრობთ და ვის ხელში ვართ! ვინ არის ჩვენი უსაფრთხოების დამცველი.

სახეზეა არაკვალიფიციურობა, არაპროფესიონალიზმი და პოლიტიკური ანგაჟირებულობა.

– მაჩალიკაშვილი გულწრფელად ამბობს, მე ქისტი, ვაინახი კაცი ვარ და ჩემში მოდის ეს აზრები, მაგრამ ძალას ვპოულობ, რომ ჩავკლაო. ამაზე რას იტყვით, ეს არის მისი ადამიანური განცდები თუ?

– ეს სხვა ამბავია. პოლიტიკოსი როდესაც ხარ და ხელისუფლებაში როდესაც ხარ, ფსიქოანალიტიკური წიაღსვლების ნაცვლად უნდა რეაგირებდე კონკრეტულ ქმედებასა და კონკრეტულ დანაშაულზე. თუ არის ტერორიზმის საფრთხე, ეს საფრთხე უნდა განეიტრალდეს, იმის მიუხედავად, ვინ რას ფიქრობს. თუ არ არის მსგავსი საფრთხე, მაშინ არ უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ ასეთი განცხადებები.

ვინ გულში რას ფიქრობს და რა განცდები აქვს, ეს არ არის ხელისუფლების საქმე, მით უფრო, ეს არ არის სუსის საქმე. სუსის პირველი ამოცანა ამ ქვეყნის მოქალაქეების, მოსახლეობის დაცვაა. ახლა, რამდენი ადამიანი იტყვის, ნეტა ამომაწყვეტინა ეს მთავრობაო, ყველას ხომ ვერ დაიჭერ?!

– როგორ ფიქრობთ, მიზანი რა იყო?

– ჩემი აზრით, უფრო მალხაზ მაჩალიკაშვილის დისკრედიტაცია. რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ ახლა, ამ ადამიანს შვილი მოუკლეს და პასუხი არ არსებობს კითხვაზე: გამართლებული იყო თუ არა იმ წუთში არსებული ვითარებით თემირლან მაჩალიკაშვილის მკვლელობა. თუ ტერორისტი იყო, უნდა თქვან, რომ ტერორისტი იყო, თუ არ იყო ტერორისტი, მაშინ უნდა დასაჯონ ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა.

ვინ გულში რას ფიქრობს და რა განცდები აქვს, ეს არ არის ხელისუფლების საქმე, მით უფრო, ეს არ არის სუსის საქმე. სუსის პირველი ამოცანა ამ ქვეყნის მოქალაქეების, მოსახლეობის დაცვაა. ახლა, რამდენი ადამიანი იტყვის, ნეტა ამომაწყვეტინა ეს მთავრობაო, ყველას ხომ ვერ დაიჭერ?!

ამაზე არ უნდა ხელისუფლებას პასუხის გაცემა. თან, ფაქტია, საპროტესტო აქციები გაეჩხირათ ყელში, რომელიც პარლამენტთან, რუსთაველზე იმართება და როგორმე უნდათ დისკრედიტაცია.

– რამდენად გამოუვათ?

– როგორ უნდა გამოუვიდეთ?! ხელისუფლება სასაცილო მდგომარეობაშია.

– გათვლაა, რომ მალხაზ მაჩალიკაშვილის ტერორისტობა დაიჯეროს ხალხმა?

– ალბათ, მაგრამ ვინ რას დაიჯერებს, ეს არ არის ხელისუფლების გასარჩევი საქმე. ზოგი დაიჯერებს და ზოგიც არ დაიჯერებს, თუმცა, ეს არ არის აქ მთავარი საკითხი. ხელისუფლებასა და მთავრობას კონკრეტული ფუნქცია აქვს. ამ დროს სუსი გამოდის და პოლიტიკურ მოთამაშედ გვევლინება. ორგანო, რომელიც ადამიანების, სახელმწიფოს უსაფრთხოების გარანტი უნდა იყოს, პოლიტიკურ თამაშებშია ჩართული.

– ხშირად არის გირგვლიანთან სარალიძისა და მაჩალიკაშვილის საქმეების პარალელები. რამდენად აყენებს ეს საქმეები ხელისუფლებას პოლიტიკურ ჩრდილს?

– რა თქმა უნდა, აყენებს. მთლად გირგვლიანის საქმესთან პარალელის გავლება ცოტა რთულია, რადგან იქ ძალადობა იყო, მთლიანად სახელისუფლებო ვერტიკალი იყო ჩართული, ამ შემთხვევაში ასეთი მასშტაბური არ არის, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ხელისუფლებას არ სურს, რაღაცაზე პასუხი აგოს. ხელისუფლება არ ცდილობს, დანაშაულებრივი ფაქტი ბოლომდე გახსნას, საზოგადოების მხრიდანაც სერიოზულ ეჭვმიტანილებს ხელი დაადოს და შეეხოს მათ.

– შეიძლება, ამ საქმეების მიმართ არაერთგვაროვანი პოზიციები იყოს ხელისუფლებაში და ვიღაცებს სურდეთ ამ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება?

– მე საერთოდ არ მგონია, რომ ხელისუფლებაში ვინმეს ჰქონდეს პოზიცია. ხელისუფლებაში არის ერთადერთი ადამიანი, ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც აქვს პოზიცია და დანარჩენი ყველა ამ პოზიციის გამტარებელი და გამხმოვანებელია. ამ ხელისუფლების ფუნდამენტური ნაკლიც სწორედ ეს არის.

– ცოტა განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა კალაძემ. რატომ, როგორ ფიქრობთ?

– ამ ხელისუფლებაში პრაქტიკულად ერთადერთი ფიგურაა კალაძე და გახარიაც, ვისაც პოლიტიკური უნარები აქვს. მართალია, ისინიც ამ ხაზს, ივანიშვილს მიჰყვებიან, თუმცა, სხვებთან შედარებით, მათ პოლიტიკური ალღო აქვთ.

კახა კალაძე დედაქალაქის ფარგლებში გადაწყვეტილებებს თვითონ იღებს, ზოგს სწორს, ზოგს, შეიძლება – არასწორს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ცდილობს მაინც.

– შეიძლება, კალაძე დამოუკიდებელი პოლიტიკური მოთამაშე გახდეს?

– 2020 წლის არჩევნებამდე არ ველი, შემდეგ არ ვიცი. აშკარად ჯერ თვითონ ამას არ აპირებს. ყველა არჩევნებში მონაწილეობს, ყველა კანდიდატს დაჰყვება, მათ წარდგენაში მონაწილეობს. თუ დამოუკიდებლად აპირებს თამაშს, მაშინ ამას არ გააკეთებდა.

– თუმცა, კალაძის პოზიცია სალომე ზურაბიშვილთან დაკავშირებით გუნდისგან განსხვავებულია და ეს ცნობილია.

– რომ არა ბიძინა ივანიშვილის დაჟინებული მოთხოვნა, სალომე ზურაბიშვილი კანდიდატი საერთოდ არ იქნებოდა.

– ამბობენ, რომ ამ საკითხზე სერიოზული დაპირისპირება იყო გუნდში.

– ის იყო პირადად ბიძინა ივანიშვილის კანდიდატი და არა დანარჩენების, „ქართულ ოცნების“ გუნდის. უმრავლესობა საერთოდ არ იყო ამის მომხრე.

თაკო ჩარკვიანი: „ივანიშვილი საქართველოს დამოუკიდებლობას საფრთხეს უქმნის“

„ივანიშვილი რუსეთის ინტერესების მიზნით 2 ჯგუფს გამოაგდებს. არ დავთმობთ და შიმშილობას დავიწყებთ“

იაგო ნაცვლიშვილი

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა (სუს) 2017 წელს პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს მოკლული თემირლან მაჩალიკაშვილის მამა მალხაზ მაჩალიკაშვილი ტერორისტული აქტის დაგეგმვაში დაადანაშაულა, თითქოს ის გეგმავდა სუს-ის მადალჩინოსანის სოსო გოგაშვილის აფეთქებას მამის საფლავზე. სუს-მა მალხაზ მაჩალიკაშვილისა და მისი ძმისშვილის საუბრის აუდიოჩანაწერი გაავრცელა. მისი ავთენტურობა დადასტურებული ჯერჯერობით არ არის. მაჩალიკაშვილი მეორე წელია, თავისი შვილის მკვლელობის საქმეზე სამართლიანობას ითხოვს და პარლამენტის წინ კარავი აქვს გაშლილი.

სუს-ის განცხადებამ ბევრი კითხვის ნიშანი დატოვა. კითხვებისა და ეჭვების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენელი, პარტია „კანონისა და სამართლის“ დამფუძნებელი თაკო ჩარკვიანი საუბრობს:

– სუს-მა გააკეთა ინფორმაცია, თითქოს მალხაზ მაჩალიკაშვილი გეგმავდა ტერორისტულ აქტს. ბუნებრივია, თქვენც გაგიჩნდებოდათ კითხვები. რა არის ის მთავარი კითხვები და ეჭვები, რომლებიც უწყების მიმართ გიჩნდებათ?

– უწყების მიმართ დიდი ხანია, მაქვს ეჭვი. ხედავთ, რა კადრებიც ინიშნება ამ უწყებაში. რუსეთი შემოდის, ხალხო! რა ქნან, სხვა რით დაგვანახონ?! ყველა სახელმწიფო ინსტიტუციას ივანიშვილი ან რუსეთს უთმობს, ან ანგრევს. რა მდგომარეობაა, ხედავთ, რა კადრი დანიშნეს მოადგილედ, ან ბეგრაუნდი არ არსებობს, რასაც შეიძლება, გადახედოს ადამიანმა...

რაც შეეხება მაჩალიკაშვილის თემას, კაცს შვილი ჩაუცხრილეს სანოლში. საქმე არ გამოიძიეს, ისე წავიდა ყველაფერი. პრაქტიკულად გამოვიდა, რომ კაცს ვერ მისცეს დაზარალებულის ცნობა, ვერ უთხრეს, რომ ტერორისტი იყო მისი შვილი. მე ვახდენ ფაქტის კონსტატაციას, რაც გვითხრეს. მერე რაღაც ტელეფონზე ნალაპარაკევს ავრცელებენ. მე წავიკითხე ამ კაცის წერილი და შემრცხვა.

– სუს-მა დააზუსტა, რომ სატელეფონო ჩანაწერი არ არის.

– ნუ არის. გამწარებულმა ადამიანმა შეიძლება, „შეუკურთხოს“ კიდეც და შეიძლება, მუქარის რაღაცა ნოტებმა გაიჟღეროს სიტყვის მასალად. კაცს შვილი ჩაუცხრილეს და ვერ ეუბნებიან, რატომ. არსებობს ეჭვი, რომ სახლი აერიათ. რა უფლება აქვთ, ბოდიშებით არ ელაპარაკონ ამ კაცს.

ამ დროს რიგითი მშობელი ვხდები. ყველამ თავისი თავი წარმოიდგინოს. ადამიანი რომ გამწარდება, საუბრის დროს რა სიტყვას წამოისვრის... რაზეა ლაპარაკი, როცა სახელმწიფო მანქანა აღარ არსებობს. ერთი კაცია სათავეში თავისი რამდენიმე მსტოვრით. ახლა სქემა გაკეთდა, ახლა კიდევ 2 პატარა ორგანიზაცია შემოვარდება. ეს პატარ-პატარა ორგანიზაციები ქმნიან ამ ფონს. ოლიგარქს რომ არ უნდოდეს, პატრიოტთა ალიანსი გაბედავდა ნეიტრალიტეტზე საუბარს?! ეს არის ამათი გეგმა. რუსეთის პირისპირ დარჩენილი საქართველო, ხომ წარმოგიდგენიათ, რასაც ნიშნავს!

– ასე გგონიათ, რომ პატრიოტთა ალიანსი ბიძინა ივანიშვილის ხელით მოქმედებს?

– როგორ, პატრიოტთა ალიანსის არ იყო მიტინგი? ხომ ვნახეთ სახეები! რეალურად „ოცნების“ მიტინგი იყო. რაზე ვლაპარაკობთ?! ეს ინფორმაცია დიდი ხანია მაქვს, რატომაც ვერ აკეთებენ ამას ასე აშკარად. ყველა გამოკითხვამ აჩვენა, რომ პროცენტულად მოსახლეობის უდიდეს ნაწილს საქართველოში რუსეთი არ უნდა. სპეციალურად აშიმშილა ივანიშვილმა ხალხი. მაგრამ მშიერ ხალხსაც კი არ უნდა რუსეთი. ამიტომ, ერთადერთი, რაც დარჩა, არის ის, რომ შემოაპაროს, ინსტიტუციები საბოლოოდ გათიშოს, გათიშოს „რუსთავი 2“. უნდათ, რომ კორეის მდგომარეობაში გადაგვიყვანონ.

– ალბათ ჩრდილოეთ კორეას გულისხმობთ.

– რა თქმა უნდა. ხომ გახსოვთ ფეხბურთის მატჩზე თქმულება, როცა ხალხს უთხრეს, რომ ჩემპიონები გახდნენ ფეხბურთში. სიცილი რომ შევწყვიტე, მერე შემეშინდა.

5 დღის წინ „ოცნების“ 5-კაციანი გუნდი დაგვიკავშირდა პირადად ჩემს პარტიას.

– რატომ დაგიკავშირდათ?

– დიდი ამბავი აქვთ პარტიაში. წამოსვლა უნდათ.

– ანუ ჩამოშლის პროცესი რეალურად მიმდინარეობს? არა მხოლოდ სახეების თვალსაზრისით, არამედ სტრუქტურულადაც?

– რა თქმა უნდა. მე ეს თქვენთან წინა ინტერვიუში ხომ არ მითქვამს? იმიტომ, რომ თუ პირველწყაროდან არ მაქვს ინფორმაცია, ისე საუბარი არ მიყვარს. გახსოვთ, ერთხელ ვთქვი, რომ ჯარის შემოყვანა უნდოდათ, მივიდნენ პუტინთან და უთხრეს, ახლა, თორემ მერე გვიან იქნებაო. წარმოგიდგენიათ, რაზე არიან წამსვლელები? ამიტომ ვამბობ, რომ ოკუპაციის კანონი უნდა ამუშავდეს. ქვეყანა დაისვენებს. ჩვენ ბალტიისპირეთის მაგალითი გვქონდა და ამ გზით უნდა წავსულიყავით. არსებობს ისრაელის მაგალითი. მკაცრია, მაგრამ სახელმწიფო შექმნეს. ერთეულები კი არ აკეთებენ კანონს, თავად კანონია უზენაესი. როცა შენ საომარ მდგომარეობაში ხარ და ასე გავიწროებს მეზობელი, მაშინ შენი კანონები უნდა გააკეთო ისე, როგორც საჭიროა. ომი დავიწყოთო, რომ ამბობენ. ოდესმე მითქვამს ეს მე? არც ერთი დიპლომატიური ინსტიტუცია არ მუშაობს ამდენი ხანი. საგარეო სამინისტრო არც ერთ დიპლომატიურ მისიას არ ამუშავებს. მაშინ, როდესაც განგაშის ზარი უნდა იყოს. საგარეო საქმეთა სამინისტრო მკვდარი გახდა.

მუშაობა ის კი არ არის, რომ ჩახვიდე ერთხელ და წამოხვიდე. გახსოვთ, რა დღეში ჩააგდეს პრემიერი? რა უქნეს ახალგაზრდა პრემიერს, გათთრებული იდგა. დიპლომატიური სამსახურები კი ჩვენს პრემიერს თავზე ყველაფერს აფარებდნენ.

– ევროპარლამენტში მწვავე კითხვებს როცა უსვამდნენ, ეგ გაქვთ მხედველობაში?

– რა თქმა უნდა. სად აქვს საქართველოს ევროატლანტიკური სივრცე. ვიზალიბერალიზაცია როგორ შემოუბრუნდა, იცით? ახალგაზრდა და გაჭირვებული ოჯახების გადინება ხდება ქვეყნიდან, ხოლო მწირი ინვესტიციით შემოსული ხალხის ინვესტიცია ხდება. თუ არ გააკონტროლე ეს, მივიღებთ იმას, რომ საქართველო გაუქმდება. მავნებლური გეგმაა საქართველოს წინააღმდეგ.

დღეს, 9 მაისს, მიტინგს ვაკეთებ. ვეტერანების წინააღმდეგი კი არ ვარ. მაგათ ვენაცვალე ყველას. გეორგიევსკის ლენტებით არიან შემოსული. როგორ უნდა გაბედონ ჭავჭავაძის გამზირზე ჩავლა.

– მაჩალიკაშვილის თემას დავუბრუნდეთ. რა შეფასება შეიძლება მიეცეს იმას, როცა ტერორისტული აქტის დაგეგმვას აბრალებენ მაჩალიკაშვილს და მყარი მტკიცებულება ჯერ არ გვინახავს?

– ცდილობენ, როგორმე აამჩატონ ეს კაცი, როგორმე წამოაგონ ანკესზე და როგორმე გააღვივონ ეს თემა. საქართველოში არეულობა თავად ხელისუფლებას აწყობს. გამოხრეს და შეჭამეს საქართველო თავისი ინსტიტუციებითა და ბიუჯეტით.

– როცა უწყება აკეთებს ასეთ განცხადებებს, დამეთანხმებით, რომ მყარი მტკიცებულებებია ამის დასადასტურებლად. რას ელოდებით ამ მხრივ?

– რა თქმა უნდა, მტკიცებულებები საჭიროა, მაგრამ, რაც არ არსებობს, იმას ვერ წარმოადგენენ. ამ კაცის დაჭერის უფლებას არ მივცემთ. ეს არის ჩვენი შეურაცხყოფა. ამდენი ხანია, ეს კაცი იქ არის, რას გეგმავდა. პანკისის ხეობაში ჩავიდა და როგორი სახელმწიფოებრივი პოზიცია ჰქონდა, მე მგონი, ყველამ ვნახეთ. დამგეგმავი ამას გააკეთებდა?! ეს ოლიგარქი გასულია ყველა ზონიდან. ის თანხა, რაზეც საუბარია, რომ მას აქვს მილიარდები, მისი არ არის. ის არის რუსეთის მძევალი.

– ლოგიკურად რომ გავყვეთ ამ ჯაჭვს, ვიღებთ ორ უკიდურესობას. ერთი ის, რომ რაღაცას გეგმავდა, რაშიც მყარი მტკიცებულებები ჯერ ვერ ვნახეთ და მეორე, თუ გეგმავდა, მაშინ ხომ უნდა იყოს დაკავებული, საიდანაც გამოდის, რომ სახელმწიფო ინსტიტუტი ვერ მუშაობს. ასე არ არის?

– თქვენ ნახეთ, განცხადებაში ამბობენ, რომ ჩვენ ერთი თვეა ეს ვიცოდითო. 1 თვეა იცოდნენ და ტერორისტი გარეთ ჰყავდათ?! ეს თუ ამათ გაუვიდათ.... რუსეთის გეგმასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული გეგმა გვაქვს ჩვენს გუნდს. ცოტა ხანში შიმშილობას გამოვაცხადებთ. საქართველოს დამოუკიდებლობა დასაცავი გახდა-მეთქი, ვთქვი ეს და ვიმეორებ. მე ამ საკითხში ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებული ვარ.

– გაერთიანებული ოპოზიციის თემა თანხვედრაშია თქვენს პოზიციასთან შიმშილობის დაწყების კონტექსტში?

– ჩვენ ყველანი ერთმანეთთან ვართ თანხვედრაში, ვისაც დასავლეთი გვინდა. ასე რომ, პრობლემა არ არის. ამ ქურდბაცაცებს ქვეყანას არ დავუთმობთ. ყველაზე დიდი ქურდბაცაცა სათავეშია. არის ასეთი ინფორმაცია, რომ ეს თანხაც მისი არ არის, რაც გვგონია, რომ მას აქვს და ეს პუტინის კაპიტალია. ყველა სქემა ვიცით. ახლა 2 პატარა ჯგუფი შემოვარდება. ერთი ეს არის, რომელიც ლაპარაკს დაიწყებს პროფკავშირზე ვითომ განაწყენებული ხალხის სახელით.

– ანუ იმ აქტივისტებს გულისხმობთ, რომლებიც მშრომელთა უფლებებზე აქტიურობენ?

– რა თქმა უნდა. ახლა შემოცვივდებიან პატარ-პატარა ჯგუფები. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ „კავკასიის“ ეთერში იჯდა ვინმე ლევან ლორთქიფანიძე. ეწყინება, ჩემზე რატომ თქვიო, მაგრამ იჯდა ახალგაზრდა კაცი ეთერში და გამოკვეთილად ილტვოდა, როგორ გვინდა რუსეთი. ეს პატარ-პატარა ჯგუფები ვერაფერს გახდებიან. შიმშილობას გამოვაცხადებთ. სირცხვილია, რომ ბიძინა ივანიშვილმა თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობებითა და განათლებით საქართველოს დამოუკიდებლობას საფრთხე შეუქმნას. ჯაბანი ერი ხომ არ ვართ!

გიორგი ვაშაძე: „ჩვენ ყველანი დავიცავთ რუსთავი ორსა და სიტყვის თავისუფლებას“

„პოლიტიკური პლატფორმა – ახალი საქართველოს“ თავმჯდომარე ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება. გიორგი ვაშაძის თქმით, ხელისუფლებას არ აწყობს დამოუკიდებელი ტელევიზია. მისივე თქმით, ხელისუფლებაში მოსვლის დღიდანვე ბიძინა ივანიშვილი ღიად ცდილობს მთავარი ოპოზიციური ძალის ჩახშობას.

– ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, ბიძინა ივანიშვილი ღიად ცდილობს მთავარი ოპოზიციური არხის ჩახშობას და დღეს უკვე ტელეკომპანიის წინააღმდეგ მორიგ იერიშს ახორციელებს. საკუთარ განცხადებებში მან ეს არაერთხელ დააფიქსირა და ყველა ღონეს ხმარობს, მიზნის მისაღწევად.

ბუნებრივია, რომ ხელისუფლებას არ აწყობს ტელევიზია, სადაც შეუღამაზებლად და ობიექტურად შუქდება ქვეყანაში მიმდინარე პროცესები. ტელევიზია, სადაც ხალხს შეუძლია, ღიად თქვას სათქმელი და დააფიქსიროს საკუთარი აზრი.

ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებამ, არაერთხელ დაამტკიცა, რომ მან გადაუხვია პროდასავლურ კურსს. მსგავსი პროცესები აზიანებს ჩვენს იმიჯს საერთაშორისო ასპარეზზე და საფრთხეს უქმნის დემოკრატიას ჩვენს ქვეყანაში.

ეს არის შეტევა თავისუფალი სიტყვის წინააღმდეგ. ცხადია, რომ ამ პროცესის მიზანი არის ტელეკომპანიის სარედაქციო პოლიტიკის შეცვლა.

ჩვენ, წინ გადამწყვეტი საპარლამენტო არჩევნები გველის. ბიძინა ივანიშვილის მთავარი მიზანია, ამ არჩევნებმა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტელეკომპანიის გარეშე ჩაიაროს.

მიმაჩნია, რომ მთელი საზოგადოება არის სოლიდარული რუსთავი ორის მიმართ, მათ შორის პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ჩვენ, ყველანი დავიცავთ რუსთავი ორს და სიტყვის თავისუფლებას, – განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

პრემიერი გავრცელებულ ინფორმაციაზე, რომ მთავრობამ ევროკავშირისგან საიდუმლო დოკუმენტი მიიღო – არავითარი საიდუმლო დოკუმენტი არ არსებობს.

ეს დოკუმენტი არის ღია. არავითარი საიდუმლო დოკუმენტი არ არსებობს. ეს არის საჯარო მსჯელობის საგანი, – ასე პასუხობს პრემიერი კითხვას, რომ, გავრცელებული ინფორმაციით, მთავრობამ ევროკავშირისგან საიდუმლო დოკუმენტი მიიღო, სადაც, სავარაუდოდ, საუბარია არჩევნების საკითხზე.

– მგონი, არასწორი ინტერპრეტაციაა. ჩვენ გვაქვს მიღებული ეუთოსა და ოდირის რეკომენდაციები არჩევნების შემდეგ, სადაც არის კონკრეტული რეკომენდაციები მოცემული და ჩვენი საპარლამენტო გუნდი აქტიურად მუშაობს ამ საკითხზე. ეს დოკუმენტი საჯაროა და რამდენიმე თვის წინ მივიღეთ. ეს ის საკითხები არ არის, რომელზეც ჩვენ საიდუმლოდ ვმსჯელობთ. ეს დოკუმენტი არის ღია. არავითარი საიდუმლო დოკუმენტი არ არსებობს. ეს არის საჯარო მსჯელობის საგანი, – განაცხადა პრემიერმა.

საქართველოში უქმე დღეების რაოდენობა, შესაძლოა, გაიზარდოს

პარლამენტში შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებების ორი კანონპროექტია წარდგენილი, რომლის თანახმადაც, ქვეყანაში უქმე დღეების რაოდენობა გაიზრდება.

კერძოდ, ერთ-ერთი კანონპროექტი, რომლის ავტორებიც პარლამენტის წევრები გია ჟორჟოლიანი და ბექა ნაცვლიშვილი არიან, 1-ლი მაისის უქმე დღედ გამოცხადებას გულისხმობს. როგორც პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, 1-ლი მაისი შრომის საერთაშორისო დღეა, რომელიც ევროპული ქვეყნების უმეტესობაში უქმე დღედაა გამოცხადებული.

პროექტის ავტორების შეფასებით, აღნიშნული გადაწყვეტილება სახელმწიფოს მხრიდან შრომის და მშრომელი ადამიანების პატივისცემის გამოხატულება იქნება.

– ამავდროულად, ეს შრომის, როგორც საზოგადოების და ქვეყნის განვითარების ძირითადი ინსტრუმენტის აღიარებას წარმოადგენს. ამასთან ერთად, 1-ლი მაისის უქმე დღედ გამოცხადება წარმოადგენს სოლიდარობის გამოხატულებას, როგორც ქვეყნის შიგნით მშრომელი ადამიანების მიმართ, ასევე საერთაშორისო დონეზე, – აღნიშნულია პროექტის განმარტებით ბარათში.

რაც შეეხება მეორე კანონპროექტს, მისი ერთ-ერთი ავტორი და ინიციატორი პარლამენტის წევრი ალექსანდრე ქანთარიაა. კანონპროექტის თანახმად, შრომის კოდექსის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ უქმე დღეების ჩამონათვალიდან ამოღებული იქნება 8 მარტი – ქალთა საერთაშორისო დღე და დაემატება – 14 მაისი „სამშობლოს დღე“.

გარდა 14 მაისის უქმე დღედ გამოცხადებისა, პროექტი თამარის ხსენების დღის – 14 მაისის ეროვნულ დღესასწაულად – სამშობლოს დღედ გამოცხადებას გულისხმობს.

– თამარის ხსენების დღე – 14 მაისი ეროვნულ დღესასწაულად – სამშობლოს დღედ – უნდა გამოცხადდეს და მასშტაბურად აღინიშნოს ყველა დიდ ქალაქსა და მუნიციპალურ ცენტრში, აგრეთვე უცხო ქვეყნებში მოქმედ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში. ეს დღე მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატვირთვის იქნება, რაც თანამედროვე ქართული სახელმწიფოს გაძლიერების და შემდგომი გამარჯვებების საფუძველი გახდება. ამასთან, ყოველ წელს ამ დღესასწაულის ცენტრი უნდა იცვლებოდეს და აქცენტი გაკეთდეს ერთ კონკრეტულ მუნიციპალიტეტზე ან რეგიონზე, სადაც მოხდება სამშობლოს დღის განსაკუთრებულად აღნიშვნა მოსახლეობისა და ქვეყნის ხელისუფლების მიერ, – ნათქვამია პროექტის განმარტებით ბარათში.

„2011 წლის 26 მაისი შეცდომა არ ყოფილა“

ანზორ ბიწაძე: „მედია ხელშეუხებელი უნდა იყოს“

შორენა მარსაგიშვილი

ყოფილი ხელისუფლება დღემდე ამტკიცებს, რომ 2011 წლის 26 მაისს დემოკრატიული მოძრაობა ნაციონალების დამხობას რუსების დახმარებით აპირებდა. გავრცელებული ჩანაწერების მიხედვით, რუსული დანაყოფის შემოყვანას ნინო ბურჯანაძის უფროსი შვილი, ანზორ ბიწაძე ითხოვდა, რომელმაც ცოტა ხნის წინ პოლიტიკაში მოსვლა გადაწყვიტა.

რატომ გადაწყვიტა პოლიტიკაში მოსვლა, ითხოვდა თუ არა 2011 წლის 26 მაისს გრუს შემოყვანას თბილისში, რატომ არ საუბრობს აგვისტოს ომზე, არის თუ არა პრორუსული? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრი ანზორ ბიწაძე ესაუბრება.

– რატომ გადაწყვიტეთ პოლიტიკაში მოსვლა?

– 23 წლის ვიყავი, როდესაც საზღვარგარეთ კარგ და მაღალანაზღაურებად პოზიციაზე ვმუშაობდი, მაგრამ პარტიის დაარსების შემდეგ ნათელი იყო, რომ იმჟამინდელი ხელისუფლების პირობებში ნინო ბურჯანაძეს რთული და რისკიანი გზის გავლა მოუწევდა.

ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, რომ დედაჩემი სხვის შვილებთან ერთად ბარიკადებზე ყოფილიყო და ამ დროს საკუთარ შვილს ევროპაში კომფორტულად ეცხოვრა. სწორედ მაშინ გახლდათ გადამწყვეტი მომენტი, როდესაც მე პოლიტიკური საქმიანობა დავიწყე, თუმცა ყველა კრიზისულ სიტუაციაში მე ყოველთვის ჩემს სამშობლოში ჩამოვდიოდი და ნინო ბურჯანაძის გვერდით ვიყავი, მათ შორის 2003 წელსაც, როდესაც ინგლისში ვსწავლობდი და პირდაპირ აუდიტორიიდან გამოსულმა ბილეთები ავიღე და საქართველოში ჩამოვედი.

პარტიის შექმნის დღიდან ვაკეთებდი ნებისმიერ საქმეს, ვასრულებდი ნებისმიერ დავალებას, რასაც პარტიის ლიდერი სხვებთან ერთად მეც მავალებდა. ფიზიკურადაც კი მიმუშავია, როდესაც საქმეს დასჭირვებია, იმის გამო, რომ პარტიის თავმჯდომარის შვილი ვიყავი, არაფერი მითაკილია და უარი არ მითქვამს არც ერთ დავალებაზე.

ამ დაგროვილი პრაქტიკისა და შრომის შემდეგ პარტიის ლიდერმა და მთავარმა საბჭომ მიღო გადაწყვეტილება, რომ დრო დადგა, პარტიის მთავარი საბჭოს წევრი და საჯარო პირი გავმხდარიყავი.

– როგორი იქნება თქვენი ხალხთან ურთიერთობის სტილი, კომუნიკაციის რა ფორმას აირჩევთ, რით იქნებით სხვებისგან განსხვავებული ან თუნდაც იქნებით თუ არა ხალხთან უფრო ახლოს, ვიდრე ნინო ბურჯანაძე?

– ყველას თავისი მუშაობის სტილი აქვს, ამიტომ აქცენტს ნუ გავაკეთებთ განსხვავებულობაზე. თუმცა მე ნამდვილად გავიარე განსხვავებული გზა, ბავშვობიდან, ბუნებრივია, მქონდა პოლიტიკოსებთან ურთიერთობა, ბოლოს და ბოლოს, სახლში მყავდა ადამიანი, რომელიც იყო პარლამენტის თავმჯდომარე და ორგზის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი. მის ირგვლივ ვხედავდი ადამიანებს, რომლებიც მართავდნენ პოლიტიკას და არა მხოლოდ საქართველოში.

ბევრი კულუარული ფაქტისა და მოვლენის შემსწრე ვყოფილვარ. ხშირად ვხუმრობ ხოლმე, რომ იმდენი რამე მაქვს ნანახი და მოსმენილი, სიამოვნებით ავუხელდი ადამიანებს ბევრ ბურუსიან ისტორიაზე თვალს-მეთქი. ბუნებრივია, ეს ყველაფერი ჩემთვის მაგალითებია, თუ როგორ უნდა მოვიქცე, როგორ უნდა დავამყარო ხალხთან კონტაქტი, რისი დაპირების უფლება მაქვს და რისი არა, რა შემიძლია და როგორ შემიძლია, ადამიანები დავაჯერო ჩემს გულწრფელობაში.

რაც შეეხება იმას, ვიქნები თუ არა ამომრჩევლებთან უფრო ახლოს, ვიდრე არის ნინო ბურჯანაძე, ამაში არ გეთანხმებით. მე არ ვთვლი, რომ ჩვენი პარტიის ლიდერი ხალხისგან ოდესმე შორს იდგა. 2009 წლის აქციები გავიხსენოთ თუნდაც, ან 2011 წლის აქციები, ის პერიოდი, როდესაც ის იყო ხელისუფლებაში და ახლაც, როდესაც ის არის ოპოზიციაში, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ნინო ბურჯანაძე არის კაბინეტში ჩაკეტილი და მას არ აქვს მოსახლეობასთან კომუნიკაცია, ძალიან ცდება.

შეიძლება, ამის აფიშირება მედიასაშუალებებით ხშირად არ ხდება, თუ არა, რა თქმა უნდა, საარჩევნო კამპანიის პერიოდი, მაგრამ მას აქვს ხალხთან ურთიერთობის თავისი ფორმა. მე არ ვაპირებ, ნინო ბურჯანაძესთან აბსოლუტურად იდენტური ვიყო ჩემი ქმედებებისა და ხალხთან კომუნიკაციის ფორმაში, ნინო ბურჯანაძე ნამდვილად არის ჩემი იდეალი და თვალთმაქცობაში ჩამეთვლება, თუ ვიტყვი, რომ მის პოლიტიკურ გამოცდილებას, მის რჩევას ჩემზე არ აქვს არანაირი გავლენა, მაგრამ მე ვარ დამოუკიდებელი ჩემს გადაწყვეტილებებში.

დღეს ხალხს არავისი და არაფრის არ სჯერა, ყველა იმედგაცრუებულია, საზოგადოების უმეტესობა სოციალური სიდუხჭირის ზღვარზეა, ბევრი მოზარდი გვყავს, ვისაც შია, ბევრი მოხუცი გვყავს, ვისაც წამლის ყიდვის საშუალება არ აქვს, ბევრი მშობელია დამწუხრებული იმის გამო, რომ შვილებს სათანადო განათლებას ვერ აძლევენ. ასეთი უდიდესი ადამიანური პრობლემების ფონზე, ძალიან რთულია, ისინი რამეში დააჯერო, მაგრამ ჩემი მიზანი სწორედ ამ ადამიანებში იმედის გაჩენაა, ამ ადამიანების ნდობის მოპოვებაა, რომ პროგრესი ჰქონდეს თითოეულ მოქალაქეს თავის ოჯახსა და თავის საქმეში.

– არ შემიძლია, არ გკითხოთ 2011 წლის 26 მაისის მოვლენებზე, თქვენი სახელი და გვარი პირველად მაშინ გაჟღერდა და არც ისე კარგ კონტექსტში. ვგულისხმობ ფარულ ჩანაწერებს, სადაც თქვენ გრუს შემოყვანას ითხოვდით. რა მოხდა მაშინ, წლების შემდეგ როგორ შეფასებას მისცემთ 26 მაისის მოვლენას და იყო თუ არა თქვენი მხრიდან შეცდომა დაშვებული?

– 2011 წლის 26 მაისი არის ისტორიული ფაქტი და მისი განსჯა, თუ რა მოხდა იმ დღეს, რა იყო სწორი და რა არასწორი, ეს არის ისტორიკოსების განსჯის საგანი. მე ვფიქრობ, 26 მაისი არ იყო შეცდომა, რადგან ჩვენ გადავწყვიტეთ ბოლომდე ბრძოლა, ბოლომდე ბრძოლა თუ შეცდომაა, ისტორია სხვა არაფერი ყოფილა, თუ არა შეცდომების კრებული.

რაც შეეხება აქციის მონაწილეების დარბევას, დაკავებებს, მათ შორის ჩემს დაკავებას, მეორე დღეს გამოქვეყნებულ ცრუ ჩანაწერებს, ამაზე არაერთხელ მისაუბრია. მე არ ვთვლი, რომ რამეზე თავი მაქვს სამართლებელი, ვინც მაშინ ოპოზიციაში იყო, დღეს ის არის ხელისუფლებაში და პირიქით, ვინც მაშინ ხელისუფლებაში იყო, დღეს ის არის ოპოზიციაში, შეიძლება, ამიტომაც დღემდე არ არის 26 მაისი სრულფასოვნად გამოძიებული. რაც შეეხება ჩანაწერს, მისი ავთენტურობა დღემდე არავის დაუმტკიცებია და ვერც დაამტკიცებს.

უფრო მეტიც, ვინც ეს ჩანაწერი მოამზადა და გაავრცელა, ვგულისხმობ მაშინდელ შს მინისტრ ვანო მერაბიშვილსა და მაშინდელ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, მოგვიანებით თავად თქვეს, რომ ეს ჩანაწერი იყო აბსურდული და არანაირი გამოძიება არ დაიწყებოდა.

მე ვიცი, რომ დღემდე ბევრი, ვისაც ნინო ბურჯანაძე არ მოსწონს, ბევრჯერ იყენებს ამ ფაქტს. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ არავის წინაშე თავის სამართლებელი არაფერი მაქვს. დამნაშავე რომ ვყოფილიყავი, დამიჯერეთ, მეტი კი არაფერი უნდოდა მაშინდელ ხელისუფლებას ჩემ დასაჭერად. ასე რომ, თუ რამე დანაშაული არსებობდა, ან ერთი დაგვსჯიდა, ან მეორე. 26 მაისს ჩვენი ოჯახის სამმა წევრმა ჩვენი სიცოცხლე დავდეთ რისკზე, ამხელა რისკი ხშირი არ არის, რომ ოჯახის სამმა წევრმა გასწიოს იმ იდეისთვის, რისთვისაც იბრძვიან.

– ერთხელ ნინო ბურჯანაძემ პრორუსულობის დაბრალების პასუხად თქვა, რომ თქვენ 2008 წლის ომში იბრძოდით, თუმცა ამის აფიშირება არ გსურდათ. რატომ არ გსურთ ამაზე საუბარი?

– აგვისტოს ომში მონაწილეობაზე აფიშირებას არასდროს ვახდენ, რადგან მიმაჩნია, რომ საატრაბახო არაფერია. 2008 წლის ომში როდესაც წავედი, ვიყავი ახალგაზრდა, 23 წლის. ჩემი ქვეყანა საომარ მოქმედებებში იყო, უცხო ქვეყნის ჯარმა და ტანკებმა ჩემი ქვეყნის საზღვარი გადმოლახა, რა თქმა უნდა, მივიღე გადაწყვეტილება,

სახლში არ დავმჯდარიყავი და ტელევიზორიდან არ მეყურებინა მოვლენებისთვის.

ამაში განსაკუთრებულს არაფერს ვხედავ, ხვალაც იგივე რომ მოხდეს, ისევ წავალ. ამით თავის მოწონება და ვინმესთვის დამადლება, რომ ომში ვიყავი და ჩემს ქვეყანას ვიცავდი, არის უზნეობა. თუმცა ერთიც არის, ის ხალხი, ვინც დღეს ნინო ბურჯანაძეს რუსეთის ინტერესების გამტარებელს ეძახის, გვახსოვს კარგად, რომ შვილებიანად ომში კი არ წასულა, კუდამოძუებული, ჩალაგებული ბარგით საზღვარზე გარბოდა. მაგრამ ეს არის მათი საქმე, მათი პრობლემა და მათი სირცხვილი. ჩემი ოჯახის არც ერთ წევრს სამარცხვინო არასოდეს არაფერი ჩაუდენია, არასოდეს არ უღალატია ქვეყნისა და ხალხისთვის.

ვიღაცას თუ ძალიან უნდა, რომ რუსეთის ინტერესების გამტარებელი გვეძახოს, მისი უფლებაა. როდესაც გადაწყვეტილება მივიღე, რომ ვიქნები საჯარო პოლიტიკაში, ისიც კარგად გავიაზრე, რომ ბევრი არასასიამოვნო რაღაცის მოსმენა მომიწევდა, რა თქმა უნდა, გინებისა და შეურაცხყოფის გარეშე. თუ ვინმე თვლის, რომ რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყება არის პრორუსობა და ქვეყნის ღალატი, მათ ან არაფერი გაეგებათ პოლიტიკის, ან თავად ემორჩილებიან სხვა ქვეყნის ინტერესებს.

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში და მანამდეც, როდესაც ჩემი ოჯახი პოლიტიკაში იყო, დისკომფორტისთვის იმდენი მიზეზი მქონდა, ვეღარ ჩამოვთვლი. რა თქმა უნდა, სასიამოვნო ნამდვილად არ არის, როდესაც ვიღაცა, რომელსაც იოტისოდენა სიკეთე არ მოუტანია თავისი სამშობლოსა და ხალხისთვის, გიწოდებს რუსეთის ინტერესების გამტარებელს და ოკუპანტის მეგობარს, ანუ მტერს, მაგრამ მე მათზე ვერ ავაგებ ჩემს შეხედულებებსა და მიზნებს, როგორ უნდა მოვიქცე და რა მიმაჩნია ჩემი სამშობლოსთვის უკეთესად. ასეთ ხალხზე ვერც კი გავბრაზდები, რადგან მათ თავადაც იციან, რას წარმოადგენენ, თავადაც იციან, რომ არაფერი გაუკეთებიათ, ლაპარაკის გარდა.

საბედნიეროდ, მეორე მხარეს არის საზოგადოება, რომელსაც სჯერა ჩვენი, რომლებმაც ძალიან კარგად იციან, რომ არანაირი პრორუსული ძალა ჩვენ არ ვართ და არანაირად არ ვატარებთ ოკუპანტის ინტერესებს. მადლობა ამ ხალხს. გვაჩვენონ ერთი განცხადება, სადაც ნინო ბურჯანაძე რუსეთის ინტერესს ახმოვანებს ან აკეთებს რამეს. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების 20% აღარ გვაქვს, გვინდა დავიბრუნოთ? არის ორი გზა. ან ომი, ან მოლაპარაკება.

პირდაპირ გეტყვით, ომის თავი არ გვაქვს და ძალიან სასაცილოა, ვიომოთო, ამას ის ხალხი რომ ამბობს, ერთი ტყვიის გავარდნისას ბუჩქებში რომ მიიმალებიან. ამიტომ, თუკი ჩვენი ქვეყნის გამოლიანებისთვის ჩვენ ვირჩევთ მოლაპარაკების გზას და ეს არის ღალატი, ასეთ ადამიანებთან არ ვაპირებ რამის მტკიცებას და საერთოდ ჩვენ მაგივრად ნურავინ გადაწყვეტს, პრორუსული ძალა ვართ თუ პროამერიკული.

– ოპოზიცია ძალიან ხშირად ივანიშვილის ხელისუფლებასაც იხსენიებს, როგორც რუსეთის ინტერესების გამტარებელს. განსაკუთრებით ასეთი შეფასებები გაკეთდა პანკისში ბოლო მოვლენების დროს და დავითგარეჯის ხელახალი პრობლემის წარმოშობისას. ხედავთ თუ არა აქ რუსეთის ინტერესს?

– ესეც ერთ-ერთი მანკიერი ტრადიცია გვაქვს. ჩვენი პოლიტიკური ელიტა, გნებავთ, ხელისუფლებაში და, გნებავთ, ოპოზიციაში, საკუთარ შეცდომებში ყოველთვის ცდილობს, მტრის ხატი გარეთ შექმნას, ამისთვის ყველაზე ადვილად დასაჯერებელი იქნება, თუ ჩვენს უნიათობას, ჩვენს არაკომპეტენტურობას, ჩვენს სიბეცეს, ჩვენს არცოდნას, არსებულ თუ უფრო უარესი, ქვეყანაში არარსებულ დიპლომატიას და ამით გამოწვეულ მძიმე შედეგებს, ყველაფერს მივაწერთ რუსეთს. რა შუაშია ან პანკისთან რუსეთი ან დავითგარეჯთან?! ხელისუფლება უშვებს მისთვის საბედისწერო შეცდომებს.

ამ ორ შემთხვევაშიც მოხდა იგივე. მესმის, რომ ძალიან მარტივია სხვის შეცდომებზე საუბარი, მაგრამ ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც ერთი რამე უნდა ვაღიაროთ, ჩვენ ქვეყანას დიდი ხანია აღარ დარჩა შეცდომების დაშვების დრო. ის, რომ ხალხთან მოსალაპარაკებლად სპეცრაზმით არ უნდა შეხვიდე ხეობაში, ის, რომ დავითგარეჯზე უკვე მიწყნარებული პრობლემა ისევ არ გაამწვავო, ამის ელემენტარული გამოცდილება დროა, რომ უკვე გვქონდეს და გონივრულად ვიმოქმედოთ.

თუ რუსეთი ახდენს პროვოცირებას და ჩვენ ამ ანკესზე ვეგებით, მით უარესი ჩვენთვის. ამას თავმოყვარე ხელისუფლება და ოპოზიცია ხმამაღლა არც უნდა აცხადებდეს. გამოდის, ჩვენ ჭკუა ვერ ვისწავლეთ და ახალ-ახალი კონფლიქტის კერებს ვქმნით?! ამიტომ, როგორც განცხადებებში, ასევე ქმედებებში, უმჯობესი იქნება, თუ მეტ გონიერებას გამოვიჩენთ. ასეთი ადამიანები საკუთარ შვილებს სანამ რაიმეს ურჩევენ, ხომ ფიქრობენ შედეგებზე? როდესაც ყველა ისე მოუფრთხილდება სახელმწიფო ინტერესებს, როგორც საკუთარ შვილებს, ქვეყანაც ამოისუნთქებს.

– სუსის მიერ მალხაზ მაჩალიკაშვილზე გამოქვეყნებულ ჩანაწერზე რას გვეტყვით?

– 2 წელია, ეს ადამიანი ხან ქუჩაში, ხან კარავში ზის და ითხოვს სამართალს. თუ თემირლან მაჩალიკაშვილი ნამდვილად ტერორისტი იყო და ამიტომ მოხდა მისი ლიკვიდაცია, ესეც დასაბუთებულად გვითხრან. რა ვერ გამოიძიეს ამდენი ხანი? თუ გამოძიებული და დადასტურებული არ იყო, მაშინ რატომ მოახდინეს მისი ლიკვიდაცია.

– მიმდინარე კვირის თემაა ასევე „რუსთავი 2“, ახალი დავის წამოწყება. ტელევიზიის გენერალურმა დირექტორმა საჯაროდ გამოაცხადა, რომ პრორუსული ძალების მხარდაჭერა არ სურს და დახმარებისთვის მხოლოდ პროევროპელებს მიმართა. თუმცა თქვენი პარტიის ლიდერმა მაინც გააკეთა ტელევიზიის მხარდამჭერი განცხადება. რატომ?

– ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩვენ არ ვართ პრორუსული ძალა და არ გვაინტერესებს, სხვა როგორ გვთვლის, მეორეც, ჩვენი პარტიის ლიდერმა დაიცვა ერთ-ერთი მედიასაშუალება და ამ შემთხვევაში „რუსთავი 2“ და არა ამ მედიასაშუალების გენერალური დირექტორი და მისი პირადი ინტერესი.

აქაც სამწუხარო ტრადიციასთან გვაქვს საქმე. მართალია, მაშინ სკოლის მოსწავლე ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს პირველი იერიში „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ. ეს იყო 2001 წელი, საგამოძიებო მოქმედები დაიწყო „რუსთავი 2“-ის მიმართ და ამას მოჰყვა პოლიტიკური კრიზისი. მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარე და რამდენიმე მინისტრი გადადგა. მას შემდეგ შემდეგ ყოველ 3-4 წელიწადში ნებისმიერი ხელისუფლების არსებობის პირობებში ხდებოდა სხვადასხვა მედიასაშუალების მიმართ ზეწოლა. იმ სასამართლო პირობებში, რაც დღეს საქართველოში გვაქვს, ვერავინ დააჯერებს ადამიანებს, რომ ეს მხოლოდ სამართლებრივი საკითხია ორ მეწილეს შორის.

ამიტომ, მიუხედავად იმისა, რას იტყვის „რუსთავი 2“-ის დირექტორი, რას იტყვის დღევანდელი ხელისუფლება და რას იტყვის სხვა, ეს შეეხება „რუსთავი 2“-ს თუ სხვა მედიასაშუალებას, ჩვენ ვიმოქმედებთ სახელმწიფო ინტერესიდან გამომდინარე და სახელმწიფო ინტერესი ნამდვილად არის, ერთხელ და სამუდამოდ ჩვენს ქვეყანაში ხელშეუხებელი იყოს ნებისმიერი მედიასაშუალება, არა აქვს მნიშვნელობა, ჩვენ მოგვწონს ის თუ არა, ან ვინ პროდასავლურია და პრორუსული თუ პროკორეული.

ნებისმიერი მედიისა და თავისუფალი აზრის დაკნინება გამოიწვევს მძიმე შედეგებს. ამიტომ, რა დამოკიდებულებაც არ უნდა გვქონდეს კონკრეტული მედიასაშუალების მიმართ, ყველას უნდა ესმოდეს, რომ მედიაზე შეტევა შემდგომი დიდი საფრთხეების წინაპირობა და საფუძველია.

სოსო ფხაკაძე: „ვისოლი“ საქართველოს ბაზარზე მოქმედ ოპერატორთან გაერთიანებას გეგმავს“

„ვისოლ ჯგუფი“ საშუალოვადიან პერსპექტივაში საქართველოს ბაზარზე მოქმედ ოპერატორთან გაერთიანებას გეგმავს.

ამის შესახებ „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ გუშინ საქართველოს პირველი არხის გადაცემა „ბიზნესპარტნიორს“ განუცხადა.

მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსული „როსნეფტი“ „ვისოლ ჯგუფის“ ყიდვას აპირებს. „ვისოლ ჯგუფმა“ ოფიციალურად გაავრცელა განცხადება, რომლის მიხედვითაც მოცემულ მომენტში „ვისოლ ჯგუფი“ არ იყიდება, თუმცა მენეჯმენტი სამომავლოდ გამსხვილებას არ გამორიცხავს.

გადაცემის წამყვანმა ფხაკაძეს გამსხვილების შესახებ ინფორმაციის დაზუსტება სთხოვა. სოსო ფხაკაძემ განმარტა, რომ თეორიულად კომპანია მართლაც გეგმავს ბიზნესის გამსხვილებას და საქართველოს ბაზარზე მოქმედ რომელიმე ოპერატორთან გაერთიანებას.

– არ ვადასტურებთ, რომ ეს კომპანია იყიდება. ზოგადად, ჩვენი ხედვა საშუალოვადიან პერსპექტივაში არის შემდეგი: ნავთობპროდუქტების საცალო ვაჭრობის სეგმენტში გვინდა ბიზნესის გამსხვილება და თეორიულად ვაპირებთ საქართველოში მოქმედ მცირე თუ მსხვილ სუბიექტთან გაერთიანებას. როცა ეს მოხდება, ჩვენ ვიქნებით პირველი, ვინც საზოგადოებას საქმის კურსში ჩააყენებს. ზოგადად, გამსხვილება და ბიზნესების გაერთიანება ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში არის ბიზნესის განვითარების ჩვეულებრივი პრაქტიკა და არა მგონია, ჩვენ ვიყოთ ისეთი ქვეყანა, სადაც ვინმეს ეს არ ესმოდეს და ეს საკითხი დამატებით ახსნა-განმარტებას საჭიროებდეს, – განმარტა სოსო ფხაკაძემ.

1tv

დემურ გიორხელიძე: „მოლოდინები ნეგატიურია“

ნონა ცაბაძე

ეკონომიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში დემურ გიორხელიძე აფასებს.

– ბატონო დემურ, ლარის გაუფასურების პროცესი ბოლო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობს. რას იტყვით შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით?

– ახალსა და განსაკუთრებულს ვერაფერს გეტყვით. ფულის მასა არ შეესაბამება ქართული ეკონომიკის მოცულობას. აქედან არის მთელი უბედურება. იმიტომ არის დოლარიზაციის მაღალი ხარისხი. როგორც კი ოდნავ, რაღაც ოპერაციებისთვის ლარზე მოთხოვნა იზრდება ან, პირიქით, უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა იზრდება, იმ წუთას იწყება ეს გაუთავებელი თამაშები. ახლა უკვე სერიოზული სიტუაციაა.

– რა თვალსაზრისით?

– მოლოდინებია ნეგატიური და იმპორტიორები, რომლებსაც დომინირებული მდგომარეობა აქვთ ქვეყანაში, გადაზღვევას გააკეთებენ საკუთარი ბიზნესებისა და ფასებს გაზრდიან.

– მომენტალურად იზრდება ფასი, როგორც კი ლარი უფასურდება.

– იმიტომ, რომ არც მთავრობა და არც ეროვნული ბანკი რაიმე დამაჯერებელ განმარტებას არ აკეთებენ. ის ზოგადი რაღაც ვალის მოხდის მიზნით გაკეთებული განცხადებები, რომ ყველაფერი კარგადაა ან ის, რომ ეს დროებითი მოვლენაა, ან კიდევ უარესი სისულელე: ეროვნული ბანკის ხელმძღვანელისგან ისმის განცხადებები, რომ ისინი ბაზრის მოქმედებაში არ ერევიან.

როგორ შეიძლება, ასეთი განცხადება გაკეთო. ადამიანი, რომელსაც ბიზნესი აქვს, ფული აქვს საქმეში ჩადებული, როგორ ენდოს ასეთ ნათქვამს? რისკზე წავიდეს? სწორედ აქედან გამომდინარეა ეს პრობლემები.

– როდესაც შეიცვალა ეკონომიკის მინისტრი, გაჩნდა მოლოდინი, რომ რაღაც უკეთესობისკენ შეიცვლებოდა. თქვენ თუ გაქვთ ეს მოლოდინი?

– ვერ გეტყვით ვერაფერს. მე არ ვიცი, რა წინააღმდეგობა არსებობდა. ჩვენ არ ვიცით, რა შეხედულებები ჰქონდა ბატონ ქობულიას. არ ვიცით, მთავრობაში ვინ და რა ფაქტორი იყო წინააღმდეგი, იმიტომ, რომ არც მთავრობის პოზიცია ყოფილა გახსნილი და დამაჯერებელი, რაც შედარებისა და ანალიზის საშუალებას მოგვცემდა. გვაქვს მხოლოდ პრემიერის კარგი და სწორი განცხადებები.

– რასთან დაკავშირებით?

– ინოვაციების თაობაზე, განათლების თაობაზე, მაგრამ ეს კონკრეტულ საქმეში არ გადადის. რაც შეეხება ბატონ ქობულიას, მე არ ვიცი, საერთოდ იგი რამდენად შესაფერისი იყო მინისტრის კანდიდატობისთვის, იმიტომ, რომ მინისტრი არ არის მხოლოდ ნომინალური ფიგურა. მას კარგად უნდა ესმოდეს ქვეყნის მდგომარეობა, პოლიტიკური სიტუაცია და ის გზები, თუ როგორ შეიძლება მიღწეულ იქნეს რაიმე შედეგი.

შედეგის არქონა არის ჩვენი მთავრობების უბედურება უკვე 30 წელია. ჩვენ შედეგის მიხედვით მთავრობის შეფასება ვერ ვისწავლეთ და ამ შედეგზე ორიენტირებული არც მთავრობები გვყავს.

– ამ ცვლილებებით რაიმე სასიკეთოს თუ ელით?

– არაფერსაც არ ველოდები, იმიტომ, რომ მე არ ვიცი, ახალმა მინისტრმა რა უნდა გააკეთოს. რა არის ის პარამეტრები, რომლის მოკლე ან საშუალოვადიან პერიოდში მას, როგორც ამ უწყების ხელმძღვანელს, ევალება.

ვიღაცას მოჰყავს მინისტრები, ვიღაცას მიჰყავს. შედეგი აქ არაფერ შუაშია!

– რამდენიმე დღის წინ გვახარეს, რომ ქართული უნივერსიტეტების მიერ გაცემული დიპლომები ევროპაში იქნება აღიარებული.

– ეს გამოსვლები და განცხადებები მე მაგონებს კომკავშირულ პროპაგანდას, კომკავშირული მენტალიტეტის ხალხის პროპაგანდას. საქმე ის არის, რომ ასეთ ფორმალურ რამეებზე კი არა, ნამდვილ განათლებაზე უნდა ფიქრობდე. შენ მაღალი დონის განათლება თუ გექნება, ისინი ევროპაშიც აღიარებული იქნებიან, ამერიკაშიც და აზიაშიც.

რას იძლევა ევროპის აღიარება, როდესაც განათლების სისტემა დაქცეულია. იმ ბოლონიის სისტემამ ევროპული განათლებაც ქვესკნელამდე დაიყვანა. არაფერი არ არის ის. გაცილებით კარგი განათლების სისტემაა აზიურ ქვეყნებში. სამხრეთ კორეამ ბოლოს საოცარი რეფორმები გააკეთა. ჩინეთი რას აკეთებს განათლების სისტემაში. თუკი ვინმე იყო საბჭოთა ყოფილ სივრცეში კარგი მეცნიერი, მათ შორის ქართველი მეცნიერები, რომლებსაც საქართველოში ადგილი არ მოეძებნათ, ყველა ჩინეთში ჰყავთ დაქირავებული, რომლებიც დოქტორებს ამზადებენ და საოცარ პირობებში არიან. ამ დროს აქ რა ხდება, იცით?!

– რა ხდება?

– იმის ნაცვლად, რომ გვითხრან, რანაირ რეფორმაზეა განათლება ორიენტირებული, ჩვენ გვეუბნებიან, რომ გავაუქმეთ გამოცდები და ახლა ევროპა გვაღიარებს. თავში ქვა უხლია ევროპას, თუ არ აღიარებს საქართველოს განათლებას! ევროპის აღიარებაზე საქართველოს მომავალი არ არის დამოკიდებული!

– ეს არის ცარიელი სიტყვები?

– დიახ, ეს არის ცარიელი სიტყვები. ეს ზუსტად იგივე ბოლშევიკური პროპაგანდაა, ოღონდ ფრაზეოლოგიაა შეცვლილი. არსი არ იცვლება.

– ანუ არ გაქვთ დამაიმედებელი პროგნოზები?

– არანაირად არ მაქვს. კი ბატონო, ხალხზე არ ძალადობენ, ქუჩაში არავის ხვრეტენ, მაგრამ არც არაფერს აკეთებენ. ძალიან მინდა წარმატებული ხელისუფლება, რომელიც შედეგებზე იქნება ორიენტირებული და არა – ცარიელ სიტყვებზე.

„გვაქვს მოლოდინი, რომ განათლების სექტორი გახდება დომინანტი ჩვენს ეკონომიკაში 11-12%-იანი წილით“

პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ბიზნესასოციაციის წევრ კომპანიებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ იმ საკითხებზე ისაუბრა, რომლებიც კერძო სექტორთან განიხილეს.

მამუკა ბახტაძე ამბობს, რომ საუბარი შეეხო იმ რეფორმებს, რომლებსაც მთავრობა ახორციელებს. აქცენტი განათლების რეფორმაზე გაკეთდა. პრემიერმა თქვა, რომ მას აქვს კერძო სექტორის მხარდაჭერის მოლოდინი და რომ განათლების სექტორი გახდება დომინანტი ქვეყნის ეკონომიკაში 11-12%-იანი წილით.

– ყველანი ვთანხმდებით, რომ ის რეფორმები, რაც გატარდა და ის ინიციატივები, რომლის რეალიზაციაც ხდება დღეს, ეს არის მნიშვნელოვანია ნაბიჯი წინ. წინ იმისკენ, რომ ჩვენ მივიღოთ უფრო კონკურენტუნარიანი ეკონომიკა, მივიღოთ ისეთი ტიპის ეკონომიკური ზრდა, რომელიც შეეხება საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, რომელიც ორიენტირებულია სამუშაო ადგილების შექმნაზე.

ჩვენ ვისაუბრეთ მაკროეკონომიკურ სტატისტიკაზე. ვიცით, რომ ამ ნაწილში არის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. ჩვენი ექსპორტი იზრდება რეკორდული ტემპებით, მაგრამ ამავე დროს ყველა ვთანხმდებით, რომ ეს არ არის საკმარისი.

ჩვენ გვსურს მეტი, გვჭირდება მეტი სამუშაო ადგილები, ვისაუბრეთ ეროვნულ იდეაზე, განათლების რეფორმაზე. აქ კერძო სექტორის ჩართულობა არის ძალიან მნიშვნელოვანი. როდესაც ვსაუბრობთ პროფესიულ განათლებაზე, რამდენიმე კომპანიასთან ჩვენ უკვე წარმატებულად ვთანამშრომლობთ და მე მიხარია, რომ კერძო სექტორისგან არის სრული მზაობა იმისთვის, რომ პროფესიულ განათლებაში მათ შეიტანონ მეტი კონტრიბუცია. მინდა ყველას შეგახსენოთ, რომ ჩვენი მიზანია, ეკონომიკის 6%, ბიუჯეტის მეოთხედი მივმართოთ განათლებაზე. ეს არის მოლოდინი იმისა, რომ კერძო სექტორი დაამატებს ინვესტიციას, 5%-ს ჩვენი ეკონომიკისა და სწორედ განათლების სექტორი გახდება დომინანტი ჩვენს ეკონომიკაში 11-12%-იანი წილით, – განაცხადა ბახტაძემ.

BMG

ქვეყანაში არსებული 15 ბანკიდან 10-ის მოგება შემცირებულია

საქართველოს ყველა კომერციულმა ბანკმა 2019 წლის პირველი კვარტლის ფინანსური შედეგები ეროვნულ ბანკს უკვე წარუდგინა. ქვეყანაში არსებული 15 ბანკიდან 10-ის მოგება შემცირებულია.

ჯამურად საფინანსო სექტორის მოგებამ წლის პირველ კვარტალში 198,601,203 ლარი შეადგინა, რაც 2018 წელთან შედარებით 34,712,821 ლარით, ანუ 15%-ით ნაკლებია.

აბსოლუტურ რიცხვებში მოგებით პირველ ადგილზე თიბისი ბანკია, რომელმაც წლის პირველ სამ თვეში 98,571,884 ლარის მოგება გამოიმუშავა, თუმცა ეს რიცხვი 2018 წელთან შედარებით 8.5%-ით ნაკლებია.

73,350,878 ლარით მეორე ადგილზე საქართველოს ბანკია, მოგების ეს რიცხვი 2018 წელთან შედარებით, 2%-ით ნაკლებია. მოგების მიხედვით მესამე ადგილს ტერაბანკი იკავებს.

მკვეთრად არის შემცირებული ლიბერთი ბანკის მოგება. ქვეყნის მესამე უმსხვილესმა ბანკმა პირველ კვარტალში მხოლოდ 3,986,406 ლარის მოგება მიიღო, რაც 2018 წელთან შედარებით 73%-ით ნაკლებია. შედეგად ლიბერთი რეიტინგში მეშვიდე ადგილს იკავებს.

წმინდა მოგების ზრდის ტემპით პირველ ადგილზეა „კრედო ბანკი“, რომლის მოგებაც 6-ჯერ გაიზარდა და 5.7 მლნ ლარი შეადგინა. 5-ჯერ გაიზარდა „ბანკი ქართუს“ მოგება. 177%-ით შემცირდა „ხალიკ ბანკის“ მოგება და -2.6 მლნ ლარი შეადგინა. „ხალიკ ბანკის“ გარდა ზარალით სამმა ბანკმა დაასრულა პირველი კვარტალი.

საბანკო სისტემის მარტის თვის მიმოხილვის მიხედვით, თვის განმავლობაში ბანკების უკუგება აქტივებზე (ROA) 0.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 1.9 პროცენტს შეადგენს. უკუგება კაპიტალზე (ROE) კი 1.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 14.2 პროცენტს შეადგენს.

სტატისტიკის მიხედვით, ქართულმა ბანკებმა 2019 წლის პირველ კვარტალში 1,036,704,000 ლარის შემოსავალი მიიღეს, რაც 2018 წელთან შედარებით 10%-ით მეტია. თუმცა, შემოსავლების ზრდის ტემპზე მეტად – 18%-ით გაიზარდა ბანკების ხარჯები, რის გამოც ბანკების მოგების მაჩვენებელი შემცირებულია.

კომერციული ბანკების მთლიანმა ხარჯებმა 808,236,000 ლარი შეადგინა, მათ შორის:

საპროცენტო ხარჯები – 380,868,000 ლარი, ზრდა წინა წელთან 13.6%;

არასაპროცენტო ხარჯები (აპარატის ხარჯები, სხვა არასაპროცენტო ხარჯები) – 303,288,000 ლარი, ზრდა წინა წელთან 6.4%;

ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით – 124,080,000 ლარი, ზრდა წინა წელთან 102%.

შედეგად ბანკების მოგება გადასახადების გადახდამდე 228,468,000 ლარამდე, ანუ 13%-ით შემცირდა, დაბეგრილმა მოგებამ კი 198,601,000 ლარი შეადგინა.

BMG

რამდენად ეფექტურია სოფლის მეურნეობის პროგრამები

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე **გელა ხანიშვილი** ბოლო დღეების განმავლობაში გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც სოფლის მეურნეობის პროგრამებში ბიუჯეტიდან 2 მლრდ ლარი არაეფექტიანად გაიხარჯა, კონკრეტული ციფრებით პასუხობს.

– ბიუჯეტს არ დაუხარჯავს 2 მილიარდი ლარი. ფინანსების ხარჯვის ეფექტურობის ერთერთი მნიშვნელოვან ინდიკატორი არის ის, რომ ამას გასცემენ ბანკები, რომლებიც სწავლობენ ყველა ამ პროექტს. ბაკების მიერ დაფინანსებულია მილიარდ 800 მილიონი ლარით სოფლის მეურნეობის სექტორი. ეს არის სესხი.

– რას აკეთებს სახელმწიფო?

– ამ პროგრამის ფარგლებში აფინანსებს პროცენტს, რომელიც არის 219 მილიონი ლარი. ეს არის 2013-2018 წლების შედეგები.

– რა მაკროეკონომიკური პარამეტრი ამბობს, რომ სწორია ჩვენი სტრატეგია?

– 2013-2018 წლებში იმპორტზე დამოკიდებულება შემცირდა 400 მილიონი დოლარით ანუ საქართველოს ფერმერებმა აწარმოეს წლიურად საშუალოდ 400 მილიონი დოლარით მეტი პროდუქცია.

სახელმწიფოს მიერ ჩადებულმა ყოველმა ლარმა უკვე დამატებით გადასახადის სახით ქვეყანაში მობილიზება გაუკეთა 61 თეთრს. ანუ წარმოიდგინეთ, ბანკების და სახელმწიფოს მიერ 2 მილიარდ ლარამდე ჩადებულია ფული და უკვე 600 მილიონი ლარი გადასახადის სახით შესულია ბიუჯეტში.

– რა უნდა გაკეთდეს, რომ სოფლის მეურნეობის სექტორმა მეტი შემოსავლების გენერირება მოახდინოს?

– იზრდება პროდუქტიულობა, იზრდება შემოსავლები. ეს არის მაჩვენებელი რას მივაღწიეთ დღეს. მთელი 10 წლის განმავლობაში ზრდის ტემპი იყო უარყოფითი, როგორც დარგი სოფლის მეურნეობა მომსპარი იყო. მატებაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს ყველაფერი უცბად გამოსწორებადია.

სოფლის მეურნეობაში საშუალო ხელფასი აღწევს 700 ლარს, რაც გაორმაგებული 2012 წელთან შედარებით. ეს მიანიშნებს, რომ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროექტები, რომელიც ძირითადად გაიშალა ფერმერებში, თანდათანობით იკრეფს ძალას.

767 ათასი ფერმერი იყო პირველი პროგრამის ბენეფიციარი. თანხები 32 ათასმა ბენეფიციარმა მიიღო. აქედან 13 ათასი ადამიანი გახდა გადასახადის გადამხდელი. ბიზნესსექტორის ხვედრითი წილი სოფლის მეურნეობაში იყო 1%, დღეს 500%-ით არის გაზრდილი.

ბიზნესსექტორში გაიზარდა როგორც გამომუშავება, ისე ხელფასი, მოსავლიანობა. ეს ადასტურებს, რომ სწორი მიმართულებით მივდივართ, – განაცხადა გელა ხანიშვილმა „საქმის კურსში“ სტუმრობისას.

BMG

„საქართველოში საფონდო ბირჟების განვითარებისთვის ეკონომიკა 10%-ით მაინც უნდა გაიზარდოს“

– საქართველოში საფონდო ბირჟების განვითარებისთვის ეკონომიკა 10%-ით მაინც უნდა გაიზარდოს.

ამის შესახებ საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორი არჩილ გაჩეჩილაძე აცხადებს. „მარტივი პასუხი ეს არის“, – ამბობს გაჩეჩილაძე.

რაც შეეხება განცხადებებს, რომ საფონდო ბირჟების განვითარება საქართველოში ბანკებს არ სურთ, გაჩეჩილაძე ამბობს, რომ თუ ვინმე ამ მიმართულებით რამეს აკეთებს ქვეყანაში, ეროვნული ბანკის გარდა, ეს კომერციული ბანკებია.

– მილიონობით ლარი ჩადებული ტექნოლოგიების შემოტანაში ამ მიმართულებით. ასე რომ კრიტიკოსებს მოვუწოდებდი, რომ თვითონ თუ რამეს გააკეთებენ, მერე განიხილონ. ბანკებს ბევრი რამ გაუკეთებიათ და ცდილობენ, რადგან ეს ქვეყნისთვის არის კარგი და არის კარგი ბანკებისთვის, – აცხადებს გაჩეჩილაძე.

BMG

როენა ხუცურაული დააკავეს

მას და 2 პირს ბრალად ედება პროსტიტუციის ხელშეწყობა და პროსტიტუციისთვის ფართის გადაცემა

გუშინ, 8 მაისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, პროსტიტუციის ხელშეწყობის და პროსტიტუციისთვის ფართის გადაცემის ბრალდებით, თბილისში 3 პირი დააკავეს.

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებულია: სასტუმრო „მამიდას“ მფლობელი, 1960 წელს დაბადებული როენა ხუცურაული, მეტსახელად „მამიდა“, ამავე სასტუმროს მოიჯარე, 1972 წელს დაბადებული ზინაიდა ქორიძე, მეტსახელად „სალომე“ და სასტუმრო „გოლდის“ მფლობელი, 1976 წელს დაბადებული ნ.დ.

მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 2-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიების ფარგლებში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ფარული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ დაკავებულები, თავიანთ კუთვნილ სასტუმროებში ფართს, პროსტიტუციის ხელშეწყობის მიზნით, სისტემატურად აქირავებდნენ.

გამოძიება მიმდინარეობს პროსტიტუციის ხელშეწყობის და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სასტუმროს ნომრების პროსტიტუციისთვის გადაცემის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ის 254-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ასევე, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით.

აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიმდინარე წლის მარტში, აღნიშნული ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ორი პირი დააკავა. კერძოდ, სასტუმრო „მამიდას“ ადმინისტრატორი, 1981 წელს დაბადებული მ. დ., სასტუმრო „მზის“ მფლობელი და ადმინისტრატორი, 1951 წელს დაბადებული გ. ა. – მეტსახელად „ფისო“, – ნათქვამია განცხადებაში.

გუშინვე როენა ხუცურაული მცხეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს.

მანამდე მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ როენა ხუცურაული და სხვა დაკავებულები იზოლატორთან შსს-ს მანქანაში ისხდნენ, ვინაიდან იზოლატორში თავისუფალი ადგილები არ იყო.

– ყველა დაკავებული, მათ შორის როენა ხუცურაული შეყვანილია დროებითი მოთავსების იზოლატორში, კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით, – განუცხადეს „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში.

როენა ხუცურაულის ადვოკატის, არჩილ დვალიშვილის, განცხადებით, მისი კლიენტი უდანაშაულოა და გამორიცხულია, მას პროსტიტუციისთვის ადგილი ვინმესთვის გადაეცა.

ამის შესახებ დვალიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, როენა ხუცურაული დუმილის უფლებას იყენებს.

– ბრალი წაყენებული აქვს 254-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის. ბუნებრივია, თავს არ ცნობს დამნაშავედ. უდანაშაულოა! მისი პოზიციაა, რომ იყენებს დუმილის უფლებას. რაც შეეხება გაჟღერებულ ინფორმაციას, რომ პროსტიტუციისთვის გადასცემდა ადგილს, ეს გამორიცხულია იქიდან გამომდინარე, რომ მას საკუთრებაში გააჩნდა უძრავი ქონება თავის ტერიტორიაზე სასტუმროს სახით.

ეს მისი კონსტიტუციური უფლებაა, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი თუ რა სამართლებრივ დატვირთვას მისცემდა, იჯარით გადასცემდა თუ იპოთეკით დატვირთავდა.

გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე მეტის თქმა არ შემიძლია. ბრალი წაყენებული აქვს და, სავარაუდოდ, 48 საათში იქნება სასამართლო პროცესი, – განაცხადა დვალიშვილმა.

დუმილის უფლებას იყენებს სასტუმრო „მამიდას“ მოიჯარე ზინაიდა ქორიძეც.

მისი ადვოკატის, მუხრან ღურწკაიას განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი თავს წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ არ ცნობს.

– რა თქმა უნდა, დაკავების დროს შევხვდი. დიდი საუბარი არ გვქონია, ვინაიდან მარტო შეხვედრის შესაძლებლობა იქ არ იყო, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში ვიყავით.

ის წარდგენილ ბრალში თავს დამნაშავედ არ ცნობს. წარდგენილი აქვს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს პროსტიტუციისთვის ფართის გადაცემას, რასაც, მისი განმარტებით, ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

ის ამ მომენტისთვის იყენებს დუმილის უფლებას, რაც ნიშნავს იმას, რომ თავს დამნაშავედ არ ცნობს მის მიმართ წარდგენილ ბრალდებაში. რაც შეეხება საქმის მასალებს, ჯერ არ გადმოგვცემია. რომ გადმოგვეცემა, გავეცნობით და ამის შემდეგ შეიძლება გავაკეთოთ კომენტარი, – განაცხადა მუხრან ღურწკაიამ.

დავით ბაგრატიონ-მუხრანელს ანა ბაგრატიონისთვის 15.500 ლარის გადახდა დაეკისრა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელე ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხე დავით ბაგრატიონ-მუხრან-ბატონიშვილის მიმართ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ინფორმაციით, მხარეთა შორის დავის საგანს ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნობა და ქონების განკარგვით მიღებული სარგებლის დაკისრება წარმოადგენდა.

საქმე ეხება ქორწინების პერიოდში, მოპასუხე დავით ბაგრატიონ-მუხრან-ბატონიშვილის მიერ შეძენილ 3 სატრანსპორტო საშუალებას (პორშე კაიენი, ბმვ იქს 5, მერსედეს ჯიელ 450), რომელთა საშუალო საბაზისო ღირებულება, მოსარჩელის განცხადებით, წარმოადგენს 68.000 აშშ დოლარს.

„სასამართლომ მხარეთა არგუმენტების მოსმენის, საქმეში არსებული მტკიცებულებების განხილვა-გაანალიზების შედეგად, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილა და ანა ბაგრატიონ-გრუზინსკი ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნო ავტომანქანების პორსე კაიენისა და მერსედესის ნაწილში.

მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ მერსედესის გასხვისებით მიღებული სარგებლის 1/2 ნაწილის, კერძოდ, 15.500 ლარის გადახდა დაეკისრა.

ავტომანქანა ბმვ იქს 5-ზე მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე და ამ ნაწილში გაუქმდა სარჩელის უზრუნველყოფის სახით გამოყენებული ყადაღა“, – ნათქვამია სასამართლოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

სოსო გოგაშვილი: „მალხაზ მაჩალიკაშვილი ეტაპობრივად ემზადებოდა ჩემი და ჩემი ოჯახის განადგურებისთვის“

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილი პირველი მოადგილე სოსო გოგაშვილი მალხაზ მაჩალიკაშვილთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს.

სოსო გოგაშვილთან ინტერვიუ „ინტერპრესნიუსმა“ ჩაწერა.

როგორც გოგაშვილი სააგენტოსთან ინტერვიუში აცხადებს, სუს-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის დაჯერება არ უჭირს, რადგან იცის, რომ მალხაზ მაჩალიკაშვილისთვის „ამგვარი ქმედებები უცხო არ არის“.

ამასთან, გოგაშვილი მადლობას უხდის სუს-ს, რომ მისი ოჯახი „განადგურებას გადაურჩა“.

– ძალიან დიდი მადლობა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, რომ მომზადების პროცესში აღკვეთა ეს დანაშაული და ჩემი ოჯახი ფაქტობრივად, განადგურებას გადაურჩა, რადგან მაჩალიკაშვილს ეს ჰქონდა დაგეგმილი. ახლა უკვე პროკურატურაზეა ჯერი და მინდა პროკურატურამ ყურადღება მიაქციოს, ეს ადამიანი როგორ მივიდა ამ დანაშაულის ჩადენამდე და მომზადებამდე. ეს ადამიანი ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ ემზადებოდა ამ დანაშაულის ჩასადენად.

არ გამჭირვებია ამის დაჯერება, რადგან მქონდა ინფორმაცია, რომ მას შესაძლოა, ეს ჩაედინა. მაჩალიკაშვილისთვის ამგვარი ქმედებები უცხო არ არის. მას აქამდეც ჰქონდა კავშირები იმგვარ დაჯგუფებებთან, როგორიცაა ახმედ ჩატაევის დაჯგუფება, – განაცხადა გოგაშვილმა.

ომარ გამყრელიძის მიერ დაჭრილი ელზა გამყრელიძე გარდაიცვალა

სოფელ ყანდაურაში ქმრის მიერ დაჭრილი 76 წლის ქალი გარდაიცვალა.

ელზა გამყრელიძე 3 მაისს 85 წლის ქმარმა თავის არეში დაჭრა. ის თავდაპირველად საგარეჯოს საავადმყოფოში მოათავსეს, თუმცა მოგვიანებით თბილისში გადაიყვანეს.

შეგახსენებთ, რომ სოფელ ყანდაურაში 85 წლის ომარ გამყრელიძემ შვილი, რძალი და 2 მეზობელი ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა, საწოლს მიჯაჭვული ცოლი კი დაჭრა, რომელიც გუშინ დილით საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ბრალდებული პოლიციამ იმავე დღეს დაიკავა. ომარ გამყრელიძეს თელავის რაიონულმა სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

გამყრელიძის წინააღმდეგ გამოძიება ორი მუხლით მიმდინარეობს. თავდაპირველად გამოძიება ოჯახური ძალადობის ნიადაგზე, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დაიწყო, თუმცა მოგვიანებით 236-ე მუხლი დაემატა, რაც გულისხმობს ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა-ტარებას.

რუსთავი-თბილისის მაგისტრალზე ბმვ-მ ქვეითი გაიტანა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა რუსთავი-თბილისის მაგისტრალზე.

თვითმხილველების თქმით, ბმვ-ს მარკის ავტომობილი ქვეითს დაეჯახა.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ სასწრაფო სამედიცინო და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები.

50 წლამდე მამაკაცი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟმა „კლინიკა რუსთავში“ გადაიყვანა.

დაშავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

არსებული ინფორმაციით, ქვეითი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა და ავტობანზე ისე გადაადგილდებოდა.

რუსთავში მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს

რუსთავში, XII მიკრორაიონში, მამაკაცი გარდაცვლილი ნახეს.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, 62 წლის მამაკაცი ცეკვის სტუდიის შენობასთან, ღია ცის ქვეშ ცხოვრობდა. 8 მაისს დილით მამაკაცი მისმა მეგობრებმა გარდაცვლილი ნახეს, ინფორმაცია კი პოლიციას მიაწოდეს.

ადგილზე მობილიზებული იყო კრიმინალური პოლიციისა და სასწრაფო დახმარების ეკიპაჟები.

მომხდარზე გამოძიება სსკ 115-ე მუხლით დაიწყო.

თეა წულუკიანი: „აღმასრულებელი ხელისუფლება ვერანაირ ნაბიჯს ვერ გადადგამს“

„რუსთავი 2“-ის ირგვლივ მიმდინარე მოვლენებზე კომენტარი თეა წულუკიანმა გააკეთა.

იუსტიციის მინისტრი ამბობს, რომ ევროსასამართლოს მიერ გამოყენებული შეჩერების მექანიზმის ფონზე, ტელეკომპანიის მენეჯმენტში ვერანაირი ცვლილება საჯარო რეესტრით ვერ დარეგისტრირდება.

– მე ვფიქრობ, რომ რაც არ უნდა უკმაყოფილო იყოს „რუსთავი 2„-ის როგორც კომპანიის ერთ-ერთი მესაკუთრე ქალბატონი ნიჟარაძე სხვა მესაკუთრეებით, ან არ მოსწონდეს, ან სამართლებრივი პრეტენზიები და არგუმენტები ჰქონდეს მისივე კუთვნილი კომპანიის ხელმძღვანელობასთან მთავარი არის ის, რომ ყველას კარგად გვახსოვდეს, ყველას კარგად გვესმოდეს, ორი წელია, რაც სტრასბურის სასამართლოს მიერ ე.წ. შეჩერების გადაწყვეტილება, ანუ დროებითი ღონისძიება იქნა მიღებული ეს გადაწყვეტილება არის დღესაც ძალაში და ვერავითარი ტრანზაქცია, იქნება ეს საჯარო რეესტრი, იუსტიციის სამინისტროს რომელიმე სხვა სსიპი, ან რომელიმე სხვა საჯარო დაწესებულება აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებში ვერანაირ ნაბიჯს ვერ გადადგამს, მანამ სანამ შეჩერების ეს გადაწყვეტილება არის ძალაში და მანამ, სანამ სტრასბურის სასამართლო არ გამოიტანს თავის გადაწყვეტილებას, – აცხადებს თეა წულუკიანი.

ზუგდიდში ბინაში მამაკაცის ცხედარი იპოვეს

ზუგდიდში, ფაიფურის დასახლების ერთ-ერთი მრავალსართულიანი კორპუსის ბინაში, მამაკაცის ცხედარი იპოვეს.

1955 წელს დაბადებული მამაკაცი რამდენიმე დღე არ გამოჩენილა, რის შემდეგაც მეზობლებმა სამართალდამცველები გამოიძახეს.

როგორც თვითმხილველები აცხადებენ, გარდაცვლილს ძალადობის კვალი არ აღენიშნებოდა.

გარდაცვლილის შვილი ამბობს, რომ მამას გული აწუხებდა.

საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მოყვანას გულისხმობს.

პომპეო მერკელს არ შეხვდება

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო ბერლინში არ ჩავა. იქ ის გერმანიის კანცლერ მერკელსა და საგარეო საქმეთა მინისტრ ჰაანს უნდა შეხვედროდა.

– იმის გამო, რომ სახელმწიფო მდივანი დაკავებულია, შეხვედრა არ შედგება, – ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

ექსპერტ ვიტალი პორტნიკოვის აზრით, შეხვედრის გადადება გერმანია-აშშ-ს შორის უთანხმოებამ განაპირობა. კერძოდ, საუბარია გაზპრომის პროექტზე „ჩრდილოეთის ნაკადი-2“.

– ამერიკელები ამ პროექტს თავგამოდებით ეწინააღმდეგებიან. გერმანია, პირიქით, მისი განხორციელების მხურვალე მომხრეა, – ამბობს პორტნიკოვი.

ირანი აშშ-ს ემუქრება

აშშ-მ ახლო აღმოსავლეთში ახალი დამრტყმელი დაჯგუფება გაგზავნა. მიზეზი რეგიონში ირანის აგრესიის განეიტრალებაა.

ამან ირანის ხელმძღვანელობა აღაშფოთა.

– ამერიკელები ირანის წინააღმდეგ ომს ამზადებენ. თუ ჩვენზე თავდასხმა გაბედეს, ეს მათ ძალიან ძვირად დაუჯდებათ! – თქვა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ზარიფმა.

მინისტრი ამერიკას განადგურებით დაემუქრა.

– ამერიკას ვაფრთხილებთ! ირანი ერაყი არ არის, ჩვენ ამერიკას გავანადგურებთ! – ამბობს ზარიფი.

აშშ-ის სამხედრო დაზვერვის ინფორმაციით, ირანი და მის მიერ მართვადი ტერორისტული დაჯგუფებები ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის ჯარებზე შეტევისთვის ემზადებიან..

– მდგომარეობა სულ უფრო სახიფათო ხდება, – აცხადებს პენტაგონის წარმომადგენელი უილიამ ურბანი.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო ერაყში ჩავიდა. ის ამ ქვეყნის პრემიერ აბდულ მაჰდის შეხვდა. საუბრის ძირთადი თემა ირანიდან მომდინარე საფრთხე იყო.

სირიაში ლტოლვილთა რაოდენობა იზრდება

სირიელ ლტოლვილთა რაოდენობა იზრდება. მიზეზი დიქტატორ ასადისა და მისი რუსი მოკავშირეების მკვეთრი გააქტიურებაა.

იდლიბის პროვინციაში ასადის მომხრე ფორმირებებმა ოპოზიციურ დაჯგუფებებზე შეტევები განაახლეს. დაბომბვებში აქტიურად მონაწილეობს რუსული ავიაცია.

შედეგად მხოლოდ უკანასკნელი 1 კვირის განმავლობაში სირია 150.000-მა ადამიანმა დატოვა.

ყველაზე ლამაზი სანტექნიკოსი ქალი ბრიტანელია

ინგლისის ჩეშირის საგრაფოს ქალაქ კრუში დიდ ბრიტანეთში ყველაზე ლამაზ სანტექნიკოს ქალს მიაგნეს.

30 წლის კარლი გეილი 15 წლის ასაკიდან მუშაობს. მაშინ ის თავის სანტექნიკოს მამას ეხმარებოდა.

– მან მასწავლა მილების შედუღება და საერთოდ ყველაფერი ამ საქმეში. მე თავად ვთხოვდი, რომ ეს პროფესია ესწავლებინა ჩემთვის, მაგრამ ის უარს მეუბნებოდა, – გაიხსენა გეილმა, – მას არ სურდა, მის კვალს გავყოლოდი, ვინაიდან საკმაოდ მძიმე სამუშაოა.

მოგვიანებით კარლი სპეციალიზებულ სასწავლებელში შევიდა, სადაც მის გარდა კიდევ 200 მოსწავლე ბიჭი და ერთი გოგონა იყო. მისი აღიარებით, მოსახლეობის სანტექნიკოსი ქალების მიმართ დამოკიდებულება არცთუ კეთილგანწყობილია. ისინი მის დანახვაზე კითხულობენ: „და სადაა სანტექნიკოსი?“ მისი აღიარებით, მათ მის კვალიფიკაციაში ეჭვი ეპარებათ.

საკუთარი გარეგნობის წყალობით გეილი კლიენტების ყურადღებას იპყრობს და, მიუხედავად მისი სამსახურის სპეციფიკურობისა, საკუთარ გარეგნობაზე საგულდაგულოდ ზრუნავს.

– ეს მეტად ჭუჭყიანი სამუშაოა, ხშირად სახლში ერთიანად მტვერში ამოგანგლული ვბრუნდები, თუმცა ისევე, როგორც ყველა გოგონას, მეც მიყვარს მანიკიურის გაკეთება, ხოლო თუ მისი რომელიმე დღისთვის შენარჩუნება მინდა, მაშინ ფრჩხილებზე წებოვან ლენტს ვიკრავ.

გეილის თქმით, სანტექნიკოსად მუშაობას მისთვის ურიგო შემოსავალი არ მოაქვს – წელიწადში 36 ათასი ფუნტი სტერლინგი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იტალიის ქალაქში სახლები 1 ევროდ იყიდება

სიცილიის ქალაქ მუსომელიში სახლის ყიდვა სულ რაღაც 1 ევროდაა შესაძლებელი. სიმბოლურ თანხად ამ დროისთვის 100 სახლი იყიდება.

უახლოეს მომავალში მათ კიდევ 400 სახლი დაემატება.

მყიდველებს ქალაქის მმართველობა ერთადერთ პირობას უყენებს. ახალი მფლობელი ვალდებულია, 1 ევროდ შეძენილი სახლი გაარემონტოს. კვადრატული მეტრის აღდგენითი სამუშაო კი 107 დოლარი ჯდება.

ამ გზით სიცილიის ქალაქ მუსომელის მმართველობა როგორც ქალაქის იერსახის, ასევე მოსახლეობის შენარჩუნებას ცდილობს.

პატარა დასახლებიდან მოსახლეობა დიდ ქალაქებში გადადის. დღეისთვის მუსომელის მოსახლეობა 11 ათასი ადამიანია.

სროლა ამერიკის სკოლაში

1 მოსწავლე დაიღუპა



აშშ-ში, დენვერთან ახლოს, სკოლის კუთვნილ ტერიტორიაზე, ორმა მოსწავლემ ცეცხლი გახსნა. შედეგად დაიღუპა ერთი მოსწავლე, ხოლო შვიდი დაშავდა.

ორივე თავდამსხმელი დაკავებულია.

როგორც ადგილობრივი მედია იტყობინება, სკოლაში თავდასხმა ადგილობრივი დროით 14:00 საათზე განხორციელდა. შემთხვევის ადგილზე სამართალდამცველები მალევე მივიდნენ. მომხდარის გამო სკოლაში სასწავლო პროცესი შეწყდა. დაღუპული 18 წლის მოსწავლეა.

კოლორადოს გუბერნატორ ჯარედ პოლისის განცხადებით, იგი შემთხვევის ადგილზე დამატებით სამართალდამცველებს გაგზავნის.

მომხდარს გამოეხმაურნენ თეთრ სახლში. ტრამპის ადმინისტრაციის წარმომადგენლის განცხადებით, პრეზიდენტი მოვლენებს ყურადღებით აკვირდება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

შევისყიდით წიგნებს!

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ბათუმი და ქუთაისი ერთნაირი ანგარიშით იგებენ

ტიტები-ქუთაისი 101:96
(26:22, 27:24, 22:24, 26:26)

ლაშა გამყრელიძის გაწვრთნილმა ტიტებმა მეოთხედფინალური სერიის მე-3 მატჩი დაძაბულ ბრძოლაში – 101:96 დაამარცხა ქუთაისი და სერიაში ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა.

რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულმა ქუთაისმა მე-8 ადგილზე გასულ ტიტებს სერიის სანყისი 2 მატჩი იმერეთში მოუგო და თბილისშიც რომ ემარჯვა, ნახევარფინალში გადიოდა, თუმცა მასპინძლებმა დამაჯერებლად ითამაშეს და მოპოვებული გამარჯვებით სერიაში ჩამორჩენა შეამცირეს.

ეს გუნდები შეხვდნენ თასის გათამაშების ნახევარფინალშიც და მაშინ ტიტებმა სერიაში 0:1 ჩამორჩენის შემდეგ 2:1 იმარჯვა და ფინალში გავიდა. ამჯერად არანაკლებ მნიშვნელოვან მატჩში გამყრელიძის შეგირდებმა კვლავ შედეგიანად ითამაშეს და სერიაში წარმატების შანსი მოიპოვეს. დღევანდელ მატჩში კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა ქუთაისელებმა ბოლომდე იბრძოლეს და შანსსაც დასკვნით წამებამდე ინარჩუნებდნენ, თუმცა გადამწყვეტი სიტყვა ბოლო წუთზე კაშმ რენსომმა და ილია ლონდარიძემ თქვეს.

რენსომმა 3-ქულიანი ჩააგდო, ხოლო ლონდარიძემ საფინალო სირენამდე 35 წამით ადრე 2-ქულიანი მეურვის დაჯარიმების ფონზე ჩააგდო, რასაც ბონუს-ქულაც მიაყოლა და ტიტები 98:93 დააწინაურა. ამის მიუხედავად, ქუთაისელებს თამაშის გადარჩენის შანსი მაინც მიეცათ. დავით ლომიძემ და დავით ბარბაქაძემ საჯარიმოებით ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირეს – 96:99 და რენსომზე ტაქტიკურად დაჯარიმდნენ. საფინალო სირენამდე 9 წამით ადრე ტიტების ამერიკელმა ლეგიონერმა ორივე საჯარიმო ააცილა, ქუთაისელ დავით ლომიძეს კი სამქულიანით ანგარიშის გათანაბრება შეეძლო, მაგრამ ააცილა და მატჩის ბედიც გაირკვა.

გამარჯვებულებს 27 ქულით ლუკ მეიერმა ულიდერა. ჟოელ ალმეიდამ 24 ქულა მიითვალა, ილია ლონდარიძის ანგარიშზე 19 ქულა და 9 მოხსნა დაგროვდა. ქუთაისში 30 ქულითა და 12 მოხსნით საუკეთესო იყო აკაკი დვალიშვილი. 29 ქულა ჯონათან ლიმ მიითვალა.

ბათუმი-მგზავრები 88:82 (ოტ)
(24:17, 12:17, 22:16, 18:26, 12:6)

დაძაბულ, ოვერტაიმიან მატჩში ბათუმმა მგზავრები დაამარცხა და სუპერლიგის მეოთხედფინალურ სერიაში 2:1 დაწინაურდა. გია კაზანჯიანის გაწვრთნილი აჭარული გუნდი ნახევარფინალს 1 მოგებით მიუახლოვდა. არადა, ზღვისპირელებმა რეგულარულ ჩემპიონატში მე-7 ადგილი დაიკავეს, ხოლო კარგა ხნის განმავლობაში გასავარდნ ზონასთან ახლოს იყვნენ და სუპერლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად დიდი ძალისხმევა დასჭირდათ.

ბათუმმ დიდი ბრძოლა-სუნარიანობის ხარჯზე უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა. აჭარული გუნდი ბოლო პერიოდში ძალიან დალაგებულად, გააზრებულად თამაშობს. კაზანჯიანის გუნდს ჰყავს კარგი ამერიკელი უკანახაზელი, კეისი შეპარდი, რომელიც ბურთსაც მშვენივრად ათამაშებს და მიზანიც სანაქებო აქვს. სწორედ მისი სამქულიანით გაათანაბრა ბათუმმა ძირითადი დროის ბოლო წამებზე ანგარიში და თამაში ოვერტაიმში გადავიდა.

დამატებით ხუთწუთეულშიც მთავარი მოქმედი ფიგურა შეპარდი გახლდათ, რომელმაც გადამწყვეტი ქულები როგორც გარღვევებით, ისე საჯარიმოებით ჩააგდო და ზღვისპირელებს გამარჯვება მოუტანა – 88:82.

მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე 28 ქულითა და 14 პასით სწორედ შეპარდი გახდა. 12-12 ქულა მიითვალეს ნოდარ თენიეშვილმა, სპენსერ კოლინსმა და სტეფან ანდრეევიჩმა. მგზავრებში 24 ქულით საუკეთესო იყო ადრიან ბოუი. 19 ქულა მოაგროვა ჯეიკობ არმსტრონგმა. კახა ჯინჭარაძის ანგარიშზე 13 ქულა და 11 მოხსნა დაგროვდა.

სერიის მომდევნო შეხვედრა ისევ ბათუმში გაიმართება და გამარჯვების შემთხვევაში ზღვისპირელები ნახევარფინალში გავლენ.

ხარაიშვილი გიოტებორგში საუკეთესოა

შვედური გიოტებორგის ქართველმა ნახევარმცველმა გიორგი ხარაიშვილმა ამ სეზონში უკვე 2 გოლისა და 3 საგოლე პასის გაკეთება მოასწრო. სკანდინავიელ გულშემატკივრებს ჩვენებური ძალიან უყვართ და გუნდის ლიდერად მიიჩნევენ.

„რობი“ შვედეთში მართლაც კარგად თამაშობს. იყო საუბარი მის აიაქსში გადაბარგებაზე, თუმცა შემდეგ ეს მითქმა-მოთქმა შეწყდა. ვერ გეტყვით, ახლა რას აპირებს ჰოლანდიური გრანდი, მაგრამ გეტყვით, რომ გიორგი შვედეთში თავს კარგად გრძნობს.

– ამ სეზონში უკვე 2 გოლის გატანა მოასწარით.

– განსაკუთრებით კარგი აიკთან გატანილი გოლი გამოვიდა. პირველი ტაიმის ბოლო წუთები იყო, კარში დარტყმა თავიდანვე გადაწყვეტილი მქონდა. მანძილი ცოტა შორი კი იყო და ალბათ პირდაპირ დარტყმას არც მეკარე ელოდა. საბოლოოდ ისე მოხდა, შესვენებამდე დავწინაურდით. ამავდროულად, სეზონში პირველი გოლი გავიტანე, რამაც ძალიან გამახარა.

– გიოტებორგის დარად, აიკიც ტრადიციული კლუბია. რთული არ იყო დიდი ანგარიშით გამარჯვება?

– აიკი ქვეყნის ჩემპიონია და, ცხადია, სერიოზულ ძალას წარმოადგენს. ამავდროულად, ჩვენთვის ყველაზე რთული მოწინააღმდეგეა. მიუხედავად იმისა, რომ 3:0 გავიმარჯვეთ, სამი ქულის მოპოვება იოლი არ იყო. ამ თამაშისთვის კარგად მოვემზადეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

– მანამდე წითელი ბარათიც მიიღეთ. რა მოხდა იმ ეპიზოდში?

– მსაჯმა პირველი ყვითელი ბარათი სამართლიანად მომცა, თუმცა არ ვთვლი, რომ არბიტრი მეორე შემთხვევაში სწორად მომექცა. როდესაც ვიქცეოდი, ფეხი გამისრიალდა. მეტოქე გუნდის ფეხბურთელიც წამომყვა და ეპიზოდი კარგად გააფორმა. საბოლოოდ, შეჯახებამ ჩემთვის ცუდი შედეგი მოიტანა.

– გიოტებორგის გულშემატკივრებთან როგორი ურთიერთობა ჩამოგიყალიბდათ?

– ქომაგებმა გუნდში მისვლიდან მალევე გამიცნეს, ისინი მამხნევებენ და მაძლიერებენ. საოცარი გრძნობაა, როდესაც ამდენი უცხო ადამიანი მთელი გულით გგულშემატკივრობს.

– ცოტა ხნის წინ, 18-წლამდე ნაკრებში თქვენი ძმა, ბექა იყო გამოძახებული. გექნებოდათ მასთან საუბარი. რა რჩევები მიეცით?

– ბექა ძალიან ნიჭიერი და მონდომებული ფეხბურთელია. საკუთარი ძმის ქებას არ ვაპირებ, თუმცა, ვფიქრობ, რომ მას ძალიან დიდი მომავალი აქვს.

გოგა ბითაძე ევროლიგის ამომავალ ვარსკვლავად აღიარეს

საქართველოს ნაკრებისა და მეგა ბიმაქსის ცენტრი გოგა ბითაძე ევროლიგის 2018-19 წლების სეზონის ამომავალ ვარსკვლავად აღიარეს. ინფორმაციას ლიგის ვებგვერდი ავრცელებს. წყაროს ცნობით, გოგა აღნიშნულ პრიზს ევროლიგის ოთხთა ფინალის წინ მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ გოგა ევროლიგაზე ბუდუჩნოსტში იყო განათხოვრებული და მის შემადგენლობაში 13 მატჩი ჩაატარა, სადაც საშუალოდ ერთ 12.1 ქულას, 6.4 მოხსნას, 2.3 დაფარებასა და 1.3 პასს აგროვებდა.

აღნიშნულ ჯილდოს ევროლიგის ბოლო 2 სეზონი ლუკა დონჩიჩი იგებდა, მანამდე კი ისეთ კალათბურთელებს მოუგიათ, როგორებიც არიან დანილო გალინარი, ალექს აბრინესი, ბოგდან ბოგდანოვიჩი, კოსტას პაპანიკოლაუ, რიკი რუბიო.

საერთოდ, ბითაძე მე-3 ცენტრია, რომელსაც ევროლიგაში 2005 წლიდან დაწესებული ეს ტიტული მოუგია. სადებიუტო 2 სეზონში ამომავალი ვარსკვლავის პრიზი ცენტრებმა – სლოვენიელმა ერაზმ ლორბეკმა და იტალიელმა ანდრეა ბარნანიმ მოიგეს.

გიჟები ენფილდზე

ლივერპული-ბარსელონა 4:0

ლივერპული. ენფილდი

1:0 ორიჯი (7), 2:0, 3:0 ვეინალდუმი (54, 56), 4:0 ორიჯი (79)

ლივერპული: ალისონი, ალეკსანდერ-არნოლდი, მატიპი, ვან დეიკი, რობერტსონი (ვეინალდუმი 46), ფაბინიო, მილნერი, ჰენდერსონი, მანე, შაქირი (სტარიჯი 90), ორიჯი (გომესი 85)

ბარსელონა: ტერ შტეგენი, ლანგლე, პიკე, ალბა, სერხი რობერტო, ბუსკეტსი, ვიდალი (არტური 74), რაკიტიჩი, კოუტინიო (სემედო 60), სუარესი, მესი

როდესაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ საპასუხო შეხვედრაში ლივერპულს მომო სალაჰი და ფირმინიო ვერ დაეხმარებოდნენ, იურგენ კლოპის შეგირდები უმალვე ჩამოწერეს. ბარსელონის გულშემატკივრები 1 ივნისს მადრიდში გასამართი ჩემპიონთა ლიგის ფინალის ბილეთებს ეძებდნენ.

თუმცა, ამის საშუალება მათ ლივერპულმა არ მისცა. რაც „ენფილდზე“ მოხდა, სრული სიგიჟე იყო, ლივერპულის ფეხბურთელებით დაწყებული, მათივე გულშემატკივრებით დამთავრებული.

ლივერპულის კარგ თამაშს ერნესტო ვალვერდე და მისი გუნდი მომზადებული უნდა შეხვედროდა, რადგან ერთი კვირის წინ, „კამპ ნოუზე“ მარცხის მიუხედავად, ლივერპული კატალონიელებზე უკეთ გამოიყურებოდა და სულაც არ იმსახურებდა 3-ბურთიანი სხვაობით წაგებას.

ბარსელონაში ვალვერდეს გუნდმა საგოლე მომენტების შესაშური რეალიზაცია გამოავლინა. „ენფილდზე“ სიტუაცია შეიცვალა და ამჯერად ლივერპულმა „გამოწურა“ შექმნილი შესაძლებლობების მაქსიმუმი, ხოლო სტუმრებს მიზანმა უმტყუნათ. მერსისაიდელთა მეკარე ალისონ ბეკერსაც არ უნდა დავუკარგოთ ჩინებული თამაში. ამასთან, თუ გავიხსენებთ, რომ ალისონი შარშან რომას კარში იდგა, როდესაც ბარსელონას თითქმის ანალოგიური „ქამბექი“ გაუკეთეს, ვთქვათ, რომ კატალონიელებს მისი „ჯადო“ აქვთ.

გადამწყვეტი აღმოჩნდა ლივერპულელთა მე-4 გოლი, რომელიც ბავშვური შეცდომით გავიდა. აი, ისეთით, ეზოში მოთამაშე ბავშვებს რომ ემართებათ. ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ასეთ შეცდომას გუნდი არ უნდა უშვებდეს, მით უფრო, ასეთ საპასუხისმგებლო მომენტში. აქ უკვე ალეკსანდერ-არნოლდს არ უნდა დავუკარგოთ არც ეშმაკობა და არც ოსტატობა.

ერნესტო ვალვერდეს გუნდი ზედიზედ მე-2 წელია უსახელოდ ეთიშება ჩემპიონთა ლიგას. თუ გასულ წელს რომასთან 3-ბურთიანი ჰანდიკაპის განიავება შემთხვევითობას მიაწერეს, წელს ვალვერდეს უკვე აღარ უნდა ეპატიოს.

ლივერპულს კი ჩვენი აპლოდისმენტები. იურგენ კლოპის გუნდი არა მარტო ფეხბურთს თამაშობს, არამედ არანორმალურ ხასიათსაც ავლენს. მიაღწიო სასურველ შედეგს 2 წამყვანი შემტევი ფეხბურთელის გარეშე, თითქმის წარმოუდგენელია. მერსისაიდელებმა დაიმსახურეს ფინალში თამაში. თუ ვინ იქნება მათი მეტოქე მადრიდულ „ვანდა მეტროპოლიტანოზე“, მათთვის მნიშვნელობა არ აქვს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი– *ტრენტ ალეკსანდერ-არნოლდი*

დივოკ ორიჯი თუ ჟორჟინიო ვეინალდუმი – ალბათ ყველა ამ ფეხბურთელებისგან ელოდა საუკეთესოს. არც ჩვენ ვუკნინებთ წვლილს, თუმცა, მაინც ალეკსანდერ-არნოლდი გამოვარჩიეთ. დიდებული მატჩი ჩაატარა ლივერპულელთა მარჯვენა მცველმა. თავის სამუშაოს დაცვაში ჩინებულად გაართვა თავი და არც შეტევაში მოუწყენია – 2 საგოლე პასი გააკეთა.

იურგენ კლოპი:

– ეს დიდი მატჩი იყო. ლივერპულმა უზარმაზარი გამარჯვება მოიპოვა. ჩვენ ალბათ მსოფლიოს საუკეთესო გუნდის წინააღმდეგ ვითამაშეთ. რთულია გაიმარჯვო, მაგრამ ეს ისე გააკეთო, რომ ბურთი არ გაუშვა... არ ვიცი. წარმოუდგენელია.

ჯეიმს მილნერმა თამაშის შემდეგ იტირა. ეს საუკეთესო ეტაპია საფეხბურთო კარიერაში. მსოფლიოში ბევრი უფრო მნიშვნელოვანი რამ არსებობს, მაგრამ ის, რომ ეს ემოციური ატმოსფერო ჩვენ შევქმენით, რაღაც განსაკუთრებულია. მატჩს სერიოზულად უნდა მივდგომოდით. ბარსელონა კარგად იცავდა თავს, მაგრამ ეს სავარაუდო იყო. ამიტომაც, ჩვენ უნდა ვყოფილიყავით არაპროგნოზირებადები. ასეც არ იყო? ვერავინ გაიგო, რა მოხდა.

ერნესტო ვალვერდე:

– მოწინააღმდეგემ ძალიან აქტიურად დაიწყო მატჩი და ეს ჩვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა. მათ სწრაფი გოლის გატანა მოახერხეს. შემდეგ ინიციატივა ხელთ ჩვენ ვიგდეთ, მაგრამ მეორეს ტაიმის სტარტზე ლივერპულის მეორე გოლმა პრობლემა დაგვიმატა. მალევე მესამე ბურთიც მივიღეთ.

ბარსელონას ჰქონდა მომენტები, მაგრამ ვერ შევძელით მათი რეალიზება. ეს გაუმართლებელია. ლივერპული უკეთესი იყო. არ ვიცი, რა გავლენას მოახდენს ეს შედეგი ჩემზე. ამის შესახებ ფიქრისთვის დრო არ მქონდა. როგორც მწვრთნელი, ამ შედეგზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

პოგბას ფასი დაედო, ლუკაკუ და დიბალა გაცვლის მოლოდინში

მანჩესტერ იუნაიტედის ფრანგი ნახევარმცველი პოლ პოგბა ინგლისური კლუბის დასატოვებლად მზადაა და ზაფხულში მადრიდის რეალში გადასვლას გეგმავს. თუმცა, შესაძლოა, იმედები გაუცრუვდეს, რადგან იუნაიტედი ნახევარმცველში 160 მილიონ გირვანქა სტერლინგს ითხოვს, რომლის გადახდასაც სამეფო კლუბი არ აპირებს.

როგორც ირკვევა, ჩემპიონთა ლიგაზე ბარსელონასთან დამარცხების შემდეგ პოგბამ რეალში თამაშის სურვილი ღიად გამოთქვა და ოლე გუნარ სოლსკიაერმა მისი დასარჩენად დარწმუნება ვერ შეძლო.

ბოლო 6 სეზონის განმავლობაში იუნაიტედი უკვე მეოთხედ დარჩა ოთხეულის მიღმა და ეს იმედები „წითლებმა“ ჰადერსფილდთან ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ თავადვე გაი-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

პოგბას ფასი დაედო, ლუკაკუ და დიბალა გაცვლის მოლოდინში

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ნადგურეს. იმის გარდა, რომ პოგბას ჩემპიონთა ლიგაზე თამაში კარიერული წინსვლის გამო სურს, ფრანგი ვერც ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრის ბონუსს მიიღებს, რაც, საერთო ჯამში, 1,875 მილიონ გირვანქას შეადგენს.

აქამდე იუნაიტედი აცხადებდა, რომ პოგბა არ იყიდება, მაგრამ ბოლო დროს დატრიალებული მოვლენებიდან გამომდინარე აშკარაა, რომ პოლი კლუბს აუცილებლად დატოვებს.

შესაძლოა, საინტერესო გაცვლა მოხდეს იუნაიტედსა და ტურინის იუვენტუსს შორის.

იტალიური პრესის ცნობით, კლუბებს შორის პაულო დიბალას ტრანსფერის შესახებ მოლაპარაკებები უკვე დაიწყო და არგენტინელის „ოლდ ტრაფორდზე“ გადაბარგება მხოლოდ დროის საკითხია.

დიბალას პოტენციური ტრანსფერი რომელუ ლუკაკუს ისედაც ბუნდოვან მომავალს კიდევ უფრო ეჭვებში ახვევს. როგორც პრესა იტყობინება, ბელგიელს ძალიან უნდა იტალიაში თამაში.

ლუკაკუ პრემიერ ლიგის 2 გუნდის ყურადღების ქვეშ მოექცა, თუმცა მისი ტრანსფერით ყველაზე მეტად იუვენტუსია დაინტერესებული.

გარდა ამისა, ჭორების თანახმად, იუვენტუსს, შესაძლოა, ანტონიო კონტე დაუბრუნდეს, რომელიც ლუკაკუს შეძენას ჯერ კიდევ ჩელსის მწვრთნელობის დროს ცდილობდა.

ფიფამ ჩელსის სასჯელი არ შეუმცირა

ფიფას სასჯელი, რომელიც ჩელსის 2020 წლის იანვრამდე ტრანსფერებს უკრძალავს, ძალაში დარჩა. ლონდონურმა კლუბმა აპელაციით მიმართა მსოფლიო ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციას, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია.

გეტყვით, რომ ჩელსის სატრანსფერო საქმიანობით ფიფა ნოემბერში მას შემდეგ დაინტერესდა, რაც ფრანგულმა კომპანია სკანდალური ინფორმაციები გაავრცელა. აღმოჩნდა, რომ ლონდონელები სრულფასოვან კონტრაქტებს აფორმებდნენ 18-წლამდელებთან, რაც ფიფას კანონმდებლობით აკრძალულია. ამავდროულად, ლონდონური კლუბი ახალგაზრდა ფეხბურთელების სანაცვლოდ დიდ თანხებს იხდიდა.

გამოძიება ორი თვე გაგრძელდა და ზემოხსენებული სასჯელით დასრულდა. ფიფას განცხადებაში ნათქვამია, რომ სასჯელი არ ვრცელდება ჩელსის ქალთა და ფუტსალის გუნდებზე.

ფიფამ ძალაში დატოვა ფინანსური ვალდებულებებიც: ლონდონელებს მათთვის 460.000 გირვანქა სტერლინგის გადახდა მოუწევთ, ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია კი 390.000 გირვანქით დაისაჯა.

ლონდონელებს ერთადერთი ნაბიჯი დარჩათ – ბოლო ინსტანცია სპორტის საარბიტრაჟო სასამართლო.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ალიგატორი შეეცადა, კარზე ზარი დაერეკა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ მირტლ-ბიჩის მკვიდრი ქალბატონი შეშინებული ადევნებდა თვალს, თუ როგორ მიხოხდა მისი სახლის შესასვლელ კართან დაახლოებით ორი მეტრი სიგრძის ალიგატორი და უკანა თათებზე შემდგარი შეეცადა, ზარი დაერეკა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა, რომელიც მათ, თავის მხრივ, კარენ ალფანომ მიაწოდა.

ვიდეოზე ჩანს, თუ როგორ ცდილობს ალიგატორი, კარზე აცოცდეს, რაც შორიდან ისე ჩანდა, თითქოს რეპტილია ზარის დარეკვას ცდილობდა.

ცხოველმა სახლის წინ ბილიკი დააზიანა, ასევე მისი ბრჭყალების ნაკვალევი დარჩა კარზე, თუმცა ფანჯრის ჩამსხვრევა და შიგნით შეღწევა ვერ შეძლო. ამ ყველაფრის შემდეგ კი კარის წინ მოკალათდა.

როდესაც შემთხვევის ადგილზე ბუნების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები ალიგატორის დასაჭერად მივიდნენ, მათ იქვე მილში მეორე რეპტილიაც შენიშნეს, რომელიც პირველზე დიდი, სამი მეტრი სიგრძის აღმოჩნდა. მათ ორივე დაიჭირეს და უსაფრთხო ადგილზე გადაიყვანეს.

დევიდ ბექჰემმა თავი სანდლებით მოიწონა

ცნობილმა ბრიტანელმა ფეხბურთელმა დევიდ ბექჰემმა საზოგადოებაში გამოსასვლელად შარვალ-კოსტიუმს წითელი წინდები და სანდლები შეუხამა. ამ მოვლენის ამსახველი პაპარაცის მიერ გადაღებული კადრები ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

სპორტსმენი იმ დროს დაფიქსირეს, როდესაც მისი საკუთარი კოსმეტიკური ბრენდის სარეკლამო გადაღებები მიმდინარეობდა. ბექჰემს ეცვა მუქი ლურჯი პიჯაკი და შარვალი, ღია წითელი ფერის წინდები და ტყავის სანდლები, ღია ქუსლით.

– წინდები ტყავის სანდლებით დევიდ ბექჰემის ყველაზე დიდი მოდური შეცდომაა, – დაწერა ფოტოსურათის კომენტარში ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა.

– პირადად მე ვფიქრობ, რომ ის ბედნიერად გამოიყურება და სრულიად არ ფიქრობს იმაზე, თუ სხვები რას იფიქრებენ მასზე, – დაწერა მეორემ.

– თუ შენიშნეთ, რომ მან უბრალოდ სანდლები და წინდები კი არ ჩაიცვა, არამედ მეტისმეტად დიდი ზომის სანდლები ჩაიცვა, – დაწერა საკუთარ კომენტარში მესამემ.

მამაკაცი მოქმედ ვულკანში ჩავარდა და გადარჩა



ამერიკის კუნძულ ჰავაიზე მაშველებმა ჰავაის ვულკანური ეროვნული პარკის დამთვალიერებელი გადაარჩინეს, რომელიც მოქმედი ვულკანის კრატერში ჩავარდა.

32 წლის მამაკაცი ვულკან კილაუზას მახლობლად მდებარე გადასახედი მოედნის მოაჯირზე გადაძვრა და ვულკანური კალდერის ნაპირთან მივიდა – უზარმაზარი ღრმული, რომელიც ადგილზე ვულკანის ამოფრქვევის, ან კრატერის ჩანგრევის შედეგად წარმოიქმნება. ის შეეცადა დაენახა, თუ რა იყო ქვევით, რა დროსაც ფეხი დაუცდა და გადავარდა.

მაშველები მამაკაცს დაახლოებით ორსაათნახევრის განმავლობაში ეძებდნენ. როგორც გაირკვა, ის შვერილზე დაეცა და ცოცხალი გადარჩა, თუმცა მძიმე ტრავმები მიიღო. მისი ღრმულიდან ამოყვანა და შვეულმფრენში ჩასმა თოკებისა და სპეციალური კალათის დახმარებით მოხერხდა. დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანეს, მისი მდგომარეობა სტაბილურია.

სპილო ტურისტს თავს დაესხა

ჩინეთის იუნანის პროვინციის სიშუანბანის ავტონომიურ ოლქში ეროვნული პარკიდან გამოქცეული სპილო ტურისტს თავს დაესხა.

ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლის თქმით, ხუთი სულისგან შემდგარი ოჯახი, მშობლები გოგონასთან და პაპა-ბებიასთან ერთად პარკში მიდიოდნენ, მაგრამ გზაში ტუალეტში შესასვლელად გაჩერდნენ.

მოულოდნელად ხეებს შორის სპილო გამოჩნდა. ის პაპა-ბებიამ შენიშნა, რომლებიც ავტომობილში ისხდნენ. მათ ოჯახის დანარჩენი წევრების გასაფრთხილებლად ყვირილი ატეხეს. სპილო გოგონას დედას თავს დაესხა, მიწაზე წააქცია და რამდენჯერმე დააბიჯა. მამამ მოასწრო, გოგონას ხელი დასტაცა და მანქანაში ჩასვა.

ცხოველის თავდასხმის შედეგად ქალი სამი ნეკნისა და მარცხენა ფეხის მოტეხილობით საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამ დროისთვის ის სტაბილურ მდგომარეობაში იმყოფება და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ოჯახის სხვა წევრები არ დაშავებულან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კანადაში ბინაში 300 კატა იპოვეს

კანადის ქალაქ ტორონტოში ადგილობრივ მცხოვრებს ბინაში 300-ზე მეტი კატა ჰყავდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ადგილობრივმა საქველმოქმედო ორგანიზაციამ მისი ერთ-ერთი ოთახის ფოტოსურათი გამოაქვეყნა, რომელიც ცხოველებით იყო სავსე. კატებს მთელი თავისუფალი სივრცე ეკავათ, იატაკიდან დაწყებული, ავეჯითა და ფანჯრის რაფით დამთავრებული.

ორგანიზაცია ქალაქის ცხოველთა კონტროლის სამსახურს 70 ცხოველისთვის თავშესაფრის მოძებნაში დაეხმარა. კატებს, დაკოდვისა და აცრების გაკეთების შემდეგ, ახალ პატრონებს გამოუძებნიან. ბინაში მცხოვრები დანარჩენი ცხოველების ბედ-იღბლის შესახებ ჯერჯერობით ინფორმაცია არ ვრცელდება.

ასტროპროგნოზი

9 მაისისთვის

ვერძი – შანსი გეძლევათ, მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. იზრდება თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი. ** კურო** – ახალი კონტაქტები იღბლიანად წარიმართება. შესაძლოა, შემოსავალი გაგეზარდოთ. **ტყუპები** – შემოქმედებითი და სექსუალური პოტენციალი მაღალია. საღამოს ნათესავებთან ურთიერთობა დაგეძაბებათ. **კირჩხიბი** – პროვოკაციული დღეა. ერიდეთ სხვის საქმეში ჩარევას, თორემ გაუგებრობაში გაეხვევით. **ლომი** – კოლეგებთან პატარა კონფლიქტია მოსალოდნელი. მოვლენებზე მტკივნეულ რეაგირებას ნუ მოახდენთ. **ქალწული** – საკუთარი ძალების რწმენა და საქმიანი აქტივობა სასიკეთო შედეგს გამოიღებს. მატერიალური მდგომარეობაც გიუმჯობესდებათ. **სასწორი** – დაბნეულობის გამო საქმიანი რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. შეუფერებელი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, მოლაპარაკებებისათვის. **ღრმანქალი** – ილუზიებს არ აჰყვეთ. ეცადეთ, არავინ მოგატყუოთ. არაკეთილისმყოფელი დღეა ქალაქგარეთ გასასვლელად, მივლინებებისათვის. **მშვილდოსანი** – მშვიდად იმუშავეთ. მყისიერ შედეგს ნუ ელით. მთავარია, თქვენი საქმე დიდი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალურად აკეთოთ. **თხის რქა** – მსხვილი შენაძენისათვის საყიდლებზე ნუ წახვალთ. ფული წყალში იქნება გადაყრილი. ჯანმრთელობის მდგომარეობა გიუარესდებათ. **მერწყული** – კონფლიქტური დღეა. მოშურნეებსა და არაკეთილგანწყობილ ადამიანებს ერიდეთ. ნუ იქნებით თავქარიანი. **თევზები** – პასიურად ხართ. ინიციატივისა და პრინციპულობის გამოვლენა დღეს აუცილებელია.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. დელფინის ერთ-ერთი სახეობა; 2. გემების სადგომი ნავსადგურში; 3. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 4. კოლუმბიელი პოპვარსკვლავი ქალი; 5. დედამიწის ჩრდილო პოლარული ზონა; 6. ინგლისელი ქართველოლოგი, „ვეფხისტყაოსნის“ პროზაულად მთარგმნელი; 11. ტოტებჩამოშვებული ტირიფი; 13. უნგრელთა მეორე სახელწოდება; 14. კლიმატური კურორტი დუშეთის რაიონში; 15. მანძილის საზომი ერთეული ზღვაოსნობაში; 17. აეროპორტი კაიროში; 18. კროსვორდის გამომგონებელი; 19. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი.

თარაზულად: 7. ხმის ჩახლეჩა, დაკარგვა; 8. ქველმოქმედი, კაცთმოყვარე ადამიანი; 9. ბრიტანული ფარმაცევტული კომპანია; 10. ტყის ხარისხიანობის მაჩვენებელი; 12. უმაღლესი განათლების მქონე წამალთმცოდნე; 14. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 16. ყოველდღიური გაზეთი ინგლისში; 18. ქიმიური ელემენტების ნაერთი ჟანგბადთან და ჟანგეულებთან; 20. აზროვნების ორგანო; 21. ნიკოლომოურის მოთხრობა; 22. ქართველი დრამატურგი, სცენარისტი, რეჟისორი, მარიონეტების თეატრის ფუძემდებელი; 23. მდინარე საქართველორუსეთის საზღვარზე; 24. სითხის, აირის წნევის საზომი ერთეული.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. წაღვერი; 2. ხამურაბი; 3. ვეტელი; 4. ტოსკა; 5. უილიამსი; 8. ფოლკლორი; 12. დუყი; 13. რავიოლი; 14. ლიმიტი; 16. ბაჯაღლო; 18. ჭერხო; 20. ერბო.

თარაზულად: 6. მალვაზია; 7. ევერტონი; 8. ფატუმი; 9. ბერიო; 10. კაზემირო; 11. გარდნერი; 15. ჰიპერტონია; 17. ფინიკი; 19. ტელევიზია; 21. გომბორი; 22. ციტოლოგია; 23. ტორნადო.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ნიგერია; 2. ჩანგი; 3. მაჩაბელი; 4. სულორი; 5. სტატიკა; 6. თაკვერი; 11. ქვოტა; 12. იანვარი; 14. კრაისლერი; 15. ჩერვონეცი; 17. პანამა; 18. ტაპირი; 19. ჯიდა.

თარაზულად: 7. ჯილღაო; 8. კაზიუსტიკა; 9. ბედეგი; 10. ვაპორეტო; 12. ხარისთვალა; 14. კრაუჩი; 16. ოპონენტი; 18. ტრაქტორი; 20. ოპუსი; 21. გოა; 22. ბაჰრეინი; 23. იდეა; 24. ბატალიორი.

ანრი ჯოხაძე სტიქარით შეიმოსა

მომღერალი ანრი ჯოხაძე სტიქარით შეიმოსა. თაბორის მთაზე მდებარე ეკლესიაში გადაღებული ფოტო მომღერალმა ინტერნეტში გაავრცელა და, როგორც მოსალოდნელი იყო, უამრავი ცნობისმოყვარის გაოცება გამოიწვია.

– ღმერთს ებარებოდეთ! – ასეთი მოკლე კომენტარით შემოიფარგლა მომღერალი და ყველას დალოცვისა და თბილი სიტყვებისთვის მადლობა გადაუხადა.

სოფო ბათილაშვილმა სადებიუტო ალბომი ჩაწერა

მუსიკალური შოუს „მხოლოდ ქართულის“ პირველი სეზონის გამარჯვებულმა სოფო ბათილაშვილმა სადებიუტო ალბომი ჩაწერა. მან პროექტის დაწყებისთანავე უნიკალური შესრულების მანერით ქართველი მსმენელის ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა.

სოფო პროექტზე მომუშავე გუნდთან ერთად მასმედიის წარმომადგენლებს „ბრავო რეკორდსში“ შეხვდა და ახალ ალბომთან ერთად სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა.

„პერიფრაზი“ – ასე ეწოდება ალბომს, რომელიც ივნისის შუა რიცხვებში გამოვა, ხოლო ალბომის საპრეზენტაციო კონცერტი 28 ივნისს სპორტის სასახლეში გაიმართება.

სადებიუტო ალბომში შესული იქნება პროექტ „მხოლოდ ქართულში“ სოფოს მიერ შესრულებული თითქმის ყველა სიმღერა: „იაგუნდი“, „რა კარგი ხარ, რა კარგი“, „ჰერიო, ბიჭებო“, „ჯადოსნური კვერცხი“, „ჩემი აღარა ხარ, მორჩა“, „მე საიდუმლოს შენახვა ვიცი“, „ქარი ქრის“, „იეზიდი“, „ადანდალი დანდალი“ და „გიყიდი ფაჩუჩებს“.

პროექტში, რომლის ხელმძღვანელიც მარინა ბერიძეა, მონაწილეობენ ბენდი „ნიუტონი“ ბასისტ შაკო ღელეყვას, დრამერ ლევან აბშილავას, მესაყვირე ლევან კემულარიას, მედუდუკე გიორგი პაპუნაშვილისა და მრავალმხრივ ნიჭიერი ზვიად ბოლქვაძის შემადგენლობით.

ჯესი ჯეი საქართველოში კონცერტს გამართავს

ცნობილი ბრიტანელი მომღერალი ჯესი ჯეი საქართველოში კონცერტს გამართავს.

მომღერალს მსოფლიოს მასშტაბით 3 მილიონი ალბომი და 20 მილიონი სინგლი აქვს გაყიდული და მილიონობით გულშემატკივარი ჰყავს. ჯესი ჯეი საქართველოს ზაფხულში ესტუმრება და 6 აგვისტოს „ბლექ სი არენაზე“ კონცერტს გამართავს.

ინფორმაცია ამის შესახებ „ბლექ სი არენას“ ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა.

წელს მომღერალი მსოფლიოს გარშემო მოგზაურობს და მსმენელს როგორც ძველ, ასევე საკუთარ უახლეს ჰიტებს უზიარებს. სწორედ ამგვარი რეპერტუარით წარდგება „ბლექ სი არენას“ მსმენელის წინაშეც.

ბილეთების გაყიდვა უკვე დაიწყო და ფასი 50-დან 250 ლარამდეა.

მწერლები მწერალთა სახლისა და წიგნის ცენტრის გაერთიანებას აპროტესტებენ

მწერლები მიხეილ ბატიაშვილის ინიციატივას – გაერთიანდეს წიგნის ეროვნული ცენტრი და მწერალთა სახლი – აპროტესტებენ და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრთან შეხვედრას მოითხოვენ.

მწერლები, მთარგმნელები, ავტორები, გამომცემლები მინისტრის გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგებიან. მათ ღია წერილიც მოამზადეს და თავიანთი პოზიცია საჯაროდ დააფიქსირეს.

გვანცა ჯობავა, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის თავმჯდომარე:

– მწერლები, მთარგმნელები, ავტორები, გამომცემლები მოვითხოვთ, ქართული წიგნის ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს მწერალთა სახლს შეუნარჩუნდეს დამოუკიდებლობა და მიეცეს წარმატებული მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობა.

პაატა შამუგია, პოეტი:

– ძალიან მარტივია საქმე, როდესაც ორი უაღრესად წარმატებული ამ სფეროში ორგანიზაცია ვიღაცას, როდესაც უნდა აქ ჩაყოს ხელი და არიოს-დარიოს. იქ ვიღაცა რაღაცას მიუერთებს. მე ვფიქრობ, რომ აქ ყოველგვარ ეჭვგარეშე არის რაღაცა ინტერესები, რაც არ არის ლიტერატურასთან კავშირში.

რატი ამაღლობელი, პოეტი:

– სწორედ აი ამ დიდ პროცესს ემუქრება განადგურება პირდაპირი მნიშვნელობით აი ამ „აპარატჩიკებისა“ და ჩინოვნიკების მხრიდან, რადგან ლიტერატორები არიან თავისუფალი ადამიანები. ეს არაერთხელ გამოხატეს მათ ძალიან ბევრ თემასთან დაკავშირებით, ეს იქნებოდა საყდრისის თემა, ზვიად რატიანის თემა თუ სხვა ჩვენს ქვეყანაში საჭირბოროტო და სოციალურად აქტუალური თემა და ეს არის, მათი თვალით რომ შევხედოთ, ის სივრცეები, რომლებიც მათგან თავისუფალია და რაღაცნაირად უნდა მოიშთოს.

ლაშა ბუღაძე, მწერალი:

– რა არის ახლა ეს გაერთიანება? პროფილურად აბსოლუტურად განსხვავებულია წიგნის ცენტრი და მწერალთა სახლი. ასე მაშინ „სუხიშვილებიც“ ცეკვავენ და „ერისიონშიც“ ცეკვავენ და გავაერთიანონთ. და ასე თეატრია მარჯანიშვილის თეატრი და ოპერის თეატრი. ორივე ადგილას ადამიანი სცენაზე დგას. შეიძლება, ძალიანაც უნდა. ასე შეიძლება, მწერლები დავაქორწინოთ მწერლებზე. ჟურნალისტები... და ბოლოს დიდი გაერთიანება მართლაც საბჭოური. ამ შემთხვევაში ჩვენ, ერთი მხრივ, ვხედავთ სრულ არაკომპეტენტურობასა და არაპროფესიონალიზმს.

როსტომ ჩხეიძე, მწერალი:

– რატომ უნდა გაერთიანდეს? საბჭოთა კავშირმა დაგვანახა, რომ ცენტრალიზაცია არის ყოვლად გაუმართლებელი. რამ დაანგრია საბჭოთა კავშირი? ერთ-ერთი იყო ცენტრალიზაცია. იქით მივისწრაფით ისევ? ხომ გავიარეთ, ხომ ვნახეთ, რომ ამას მოაქვს მხოლოდ უბედურება ქვეყნისთვის და უკან-უკან მიდის ყველაფერი.

თბილისში დამსხვრეული ურთიერთობების მუზეუმი იხსნება

9 მაისიდან თბილისში „დამსხვრეული ურთიერთობების მუზეუმი“ დაიწყებს ფუნქციონირებას.

ამ მუზეუმში ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მივიდეს და საკუთარს სხვა ადამიანთა გრძნობები და გამოცდილებები შეადაროს. ეს არის მუზეუმი ჩვენზე, იმაზე, თუ როგორ გვიყვარს და როგორ ვკარგავთ ერთმანეთს.

– აჩქარებისკენ მოგიწოდებთ, რადგან მუზეუმის სამოგზაურო გამოფენა თბილისში მხოლოდ ივნისის ბოლომდე დარჩება, – აცხადებენ მუზეუმის ხელმძღვანელები.

ბეთლემის 10-ში წარმოდგენილ კოლექციაშია ქართული და მსოფლიო დამსხვრეული ურთიერთობების ნაკრები, რადგან სიყვარული და დაშორება ხომ ერთნაირად ღამაზია და მტკივნეული განურჩევლად ქვეყნის, კულტურის, რელიგიის, ორიენტაციისა თუ ისტორიისა.

კალეიდოსკოპი

ძაღლმა, სახელად კალმარმა, სოციალური ქსელები დაიპყრო

ავსტრალიაში ცხოვრობს ძაღლი, ბელგიური გრიფონი, სახელად კალმარი, რომლის პატრონმა 2017 წელს ინსტაგრამში სპეციალური გვერდი გახსნა, რომელშიც მისი ცხოვრების ამსახველ ფოტოსურათებს აქვეყნებს.

საკუთარი გარეგნობისა და სტილის წყალობით, კალმარმა ინსტაგრამში 271 ათასზე მეტი ხელმომწერის სიყვარული დაიმსახურა. სხვათა შორის, ჰოლივუდის ბევრი მსახიობი ვერ დაიკვეხნის ასეთი რაოდენობის ხელმომწერს (მაგალითად, ედვარდ ნორტონი ან ჯონ კიუსაკი). როგორც ცხოველის პატრონი ამბობს, ის 70 პროცენტი სიყვარულის, 20 პროცენტი თავხედობის და 10 პროცენტი წვერისგან შედგება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნინო ანანიაშვილმა დათუნა სულიკაშვილის ჩვენება დახურა

მერსედეს ბენცის თბილისის მოდის კვირეულზე დიზაინერმა დათუნა სულიკაშვილმა თავისი ახალი კოლექცია წარმოადგინა. 2019 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექცია დიზაინერმა ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის წევრებს ჩააცვა და პოდიუმი პირდაპირ თეატრის სცენაზე მოაწყო.

ასტორ პიაცოლას ლიბერტანგოს მელოდიის ფონზე პოდიუმზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ საბალეტო დასის წევრები. ჩვენების ბოლოს კი სცენაზე პრიმაბალერინა ნინო ანანიაშვილი გამოჩნდა, რომელმაც დათუნა სულიკაშვილის შავი კაბა მოირგო.

დარბაზში შეკრებილმა მაყურებელმა დიზაინერი, ბერინა მოდელექი და ნინო ანანიაშვილი მქუხარე აპლოდისმენტებითა და ხანგრძლივი ოვაციებით დააჯილდოვა.

ქეთევან კიკნაძე „რუსთავი 2“-ს აკრიტიკებს

მსახიობი ქეთევან კიკნაძე ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს აკრიტიკებს და მის ხელმძღვანელობას სიმშვიდისკენ მოუწოდებს:

– რუსთავი 2-ს! არც თავს გესხმიან და არც არავითარ პასუხს არ გთხოვენ, გეუბნებიან, დავალიანება გადაიხადეთო. მე ხელფასიდან 20%-ს მიკავებენ, თქვენ არაფერი არ გეხებათ? რა კარგია! ან იქნებ სხვა ქვეყანაში ხართ? ვინ დაგესხათ თავს, რა საინტერესოა.

გია დავითიანი იუბილეს კონცერტით აღნიშნავს

„ქუჩის მუსიკოსების“ ერთ-ერთი წევრი, მომღერალი და მუსიკოსი გია დავითიანი იუბილეს კონცერტით აღნიშნავს.

9 მაისს ივენთ ჰოლში გამართულ საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ანსამბლები „ალილო“, „ქართული ხმები“, „შვიდკაცა“, „ქუჩის მუსიკოსები“ და მომღერლები მერაბ სეფაშვილი, ნატო გელაშვილი, სოფო ბედია. სპეციალური მიწვევით საიუბილეო საღამოზე იმღერებს ტენორი ოთარ ჯორჯიკია. საღამოს გია ბაღაშვილი გაუძღვება.

თეკლა ეკალაძეს დედისა და მამის გარდაცვალების დროს სახელმწიფო 100-100 ლარით დაეხმარა

9 წლის თეკლა ეკალაძეს, რომელიც რუსულ მუსიკალურ შოუში „ტი სუპერ!“ მონაწილეობს, დედისა და მამის გარდაცვალების დროს სახელმწიფო 100-100 ლარით დაეხმარა.

ინფორმაცია ამის შესახებ ოპერის მომღერალმა თამარ ივერმა გაავრცელა:

– ორმხრივად ობოლი ბრილიანტი ბავშვი. ბებიამ თქვა, მამისა და დედის გარდაცვალების დროს სახელმწიფომ ერთჯერადად 100-100 ლარი მისცა და იმის მერე ერთი თეთრით არ დახმარებიაო.

შეკითხვა: რა ჰქვია ასეთ სახელმწიფოს?

პასუხი: სააااა მაااა რცხვიااი ნოოოო!

ასეთ ყოვლად უვარგის, ობოლი და დაუცველი ადამიანების „წიხლზე დამკიდებ“ ქვეყანაში ცხოვრობენ ადამიანები. ახლა რუსეთმა რომ აღმოაჩინა და აღიარა, აწრიალდებიან და დაიწყებს ფარისეველ ჩინოვნიკთა ბრბო „გადაფურთხებულის ალოკვას“ და ამ ბავშვის ყოველმხრივ „ხელშეწყობას“, მაგრამ ღირსნი არიან, რომ ახლა ამ ბავშვმა „დაიკიდოს“ ისინი ფეხზე და წავიდეს და დარჩეს იმ ქვეყანაში, სადაც მას ხელისგულზე ატარებენ!

დიახ, ყველამ, ყველა ამ (ვაი)სახელმწიფოსგან იგნორირებულმა დიდმა ნიჭმა და ტალანტმა უნდა დატოვოს ქვეყანა და დაბრუნდნენ მაშინ, როცა სხვა მთავრობა მიხვდება მათ ფასს და დააფასებს!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

9 მაისისთვის

აშშ დოლარი — 2.7248

ევრო — 3.051

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5659

100 რუსული რუბლი — 4.1818

ამინდის პროგნოზი 9 მაისისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

1 მაისიდან

ალექსანდრე დიუმა

კავკასია



ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

3 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი III

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

10 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი IV

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

Met Gala-მ კიმ კარდაშიანი აატირა

რეალიტი-შოუს „კარდაშიანების ოჯახის“ მონაწილე კიმ კარდაშიანმა ისაუბრა იმაზე, თუ როგორ მივიდა ტირილამდე 2013 წელს ნიუ იორკში გამართულ ყოველწლიურ Met Gala-ს ბალის დასრულების შემდეგ. მასზე საკუთარი გამოჩენის ამსახველი ფოტოსურათები და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულება ტელევარსკვლავმა ინსტრაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

მაშინ ფეხმძიმე კარდაშიანი ღონისძიებაზე ყვავილებიან Givenchy-ს კაბაში გამოწყობილი მივიდა. თუმცა, მისი თქმით, ის თავს ისე თავდაჯერებულად ვერ გრძნობდა, როგორც თავად სურდა.

საკუთარ კიდევ ერთ წარუმატებლობად კარდაშიანმა 2016 წელს იმავე ღონისძიებაზე გამოსვლა დაასახელა, ამჯერად Balmain-ის კაბით. კიმის თქმით, ზედმეტი წონა იმის გამო არ დაიგდო, რომ თავს თავდაჯერებულად ვერ გრძნობდა. ასევე აღნიშნა, რომ წარბების გათეთრება მისი მხრიდან კარგი გადაწყვეტილება არ ყოფილა, ხოლო აღნიშნულ ღონისძიებაზე თავის ყველაზე წარმატებულ გამოსვლად 2018 წელი დაასახელა, როდესაც იქ Versace-ს კაბაში გამოწყობილი გამოჩნდა.

– თავი ასე თავდაჯერებულად არასოდეს მიგრძნია! უმშვენიერესი წელი იყო, – აღიარა კარდაშიანმა.

მეთევზე ბეჰემოთის თავდასხმას ემსხვერპლა

კენიის ქალაქ ბონდოს მახლობლად ბეჰემოთი ოთხ მეთევზეს თავს დაესხა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც ისინი ტბა ვიქტორიაში თევზაობდნენ. ცხოველი მათ ნავს თავს დაესხა და დააზიანა. ამის შედეგად მეთევზეები იძულებული გახდნენ, ნავი მიეტოვებინათ და წყალში გადამხტარიყვნენ.

სამმა მათგანმა ნაპირამდე ცურვით მიღწევა მოახერხა. მათ მხოლოდ იქ შენიშნეს მეგობრის გაუჩინარება. როგორც გაირკვა, ის მათ ჩამორჩა და დაიხრჩო. მეგობრები მის გადარჩენას შეეცადნენ, თუმცა მათი ძალისხმევა უკვე დაგვიანებული აღმოჩნდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ორი მამაკაცი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შეიძლება, რომ პატიოსანიც იყო და მდიდარიც?

– ჰო, მაგრამ ჯერ მდიდარი უნდა გახდე.

●●●

მამა ქალიშვილს ეკითხება:

– შვილო, შენ უკვე დიდი გოგო ხარ და გათხოვებაზე როდის იფიქრებ?

– მე სულ მაგაზე ვფიქრობ!

●●●

საბავშვო ბაღში ათეისტი მასწავლებელი ბავშვებს ეკითხება:

– აბა ბავშვებო, ვინც ათეისტი ხართ, ხელი მაღლა ასწიეთ.

ყველამ ასწია ხელი მარიამის გარდა.

– მარიამ, შენ რატომ არ ასწიე ხელი?

– იმიტომ, რომ ქრისტიანი ვარ.

– რატომ ხარ ქრისტიანი?

– იმიტომ, რომ ჩემი მშობლები ქრისტიანები არიან.

– და დედაშენი და მამაშენი რომ იდიოტები იყვნენ, შენ ვინ იქნებოდი?

– ათეისტი, მასწავლებელო!

●●●

კაცი ქალს ეუბნება:

– ძვირფასო, სიტყვებით ვერ გადმოვცემ, როგორ მიყვარხარ!

– შენც ადექი და ფულით გადმომეცი.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– გავიგე, სტრიპტიზზე ყოფილხარ და მართალია?

– ჰო, მართალია.

– მერე, როგორი დრო გაატარე?

– გოგონას ბიკინიში 50 დოლარი ჩავუცურე და 100 ამოვიღე. ასე რომ, დავისვენე კიდეც და ფულიც ვიშოვე!

●●●

მამაკაცი ბარმენს მიმართავს:

– სისხლიანი მერი მინდა!

– ბოდიში, მაგრამ მხოლოდ მსუბუქად ნაცემი გივი გვყავს.

●●●

მამაკაცს ეკითხებიან:

– რომელი ქვაა თქვენი მფარველი?

– რომელიც ხელში მომხვდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კოკორინსა და მამაევს ვერდიქტი გამოუტანეს

ალექსანდრ კოკორინსა და პაველ მამაევს მოსკოვის სასამართლომ განაჩენი გამოუტანა. ორივე ფეხბურთელი სასამართლომ დამნაშავედ ცნო ხულიგნობაში და ადამიანის სხეულისთვის ზიანის მიყენებაში.

კოკორინი და მამაევი ციხეში წელიწად-ნახევარს გაატარებენ და 2020 წლის ბოლოს გათავისუფლდებიან. შესაძლებელია აპელაციაც, მაგრამ სასამართლო, სავარაუდოდ, გადაწყვეტილებას არ შეცვლის.

შეგახსენებთ, რომ 2018 წლის 8 ოქტომბერს მამაევი და კოკორინი ამ უკანასკნელის უმცროს ძმასთან ერთად ჩინოვნიკ დენის პაკს ერთ-ერთ კაფეში თავს დაესხნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ. ამის გარდა, მათ ტელეკომპანია ოერტეს წამყვანის პირადი მძღოლიც ცემეს. დენის პაკმა განაცხადა, რომ ამ განაჩენით კმაყოფილია და ფეხბურთელებმა სათანადო სასჯელი მიიღეს.

ლებრონ ჯეიმსმა ლივერპულს გამარჯვება მიულოცა

კალათბურთის სუპერვარსკვლავმა ლებრონ ჯეიმსმა ლივერპულს ბარსელონასთან გამარჯვება მიულოცა და თქვა, რომ ეს ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი იყო, რომელიც მას ოდესმე უნახავს.

ჯეიმსმა ამის შესახებ ტვიტერში დაწერა.

ლებრონ ჯეიმსი ლივერპულის აქციების მცირე ნაწილის მფლობელია. მან ეს აქციები 2011 წელს შეიძინა. ამერიკელი კალათბურთელი ხშირად საუბრობს თავის სიყვარულზე ფეხბურთის მიმართ და ლივერპული მისი ერთ-ერთი საყვარელი გუნდია.

რეალმა, შესაძლოა, კაზემირო გაყიდოს

ესპანურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზიდანს კაზემიროს თამაში აღარ აკმაყოფილებს და, შესაძლოა, ზაფხულში კაზემირომ რეალი დატოვოს.

მის შემცვლელად რამდენიმე კანდიდატურას განიხილავენ და ყველაზე რეალური ჩელსის საყრდენი ნახევარმცველი ნგოლო კანტეა.

ზიდანი კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს აკვირდება და გადაწყვეტილებას მერე მიიღებს. კაზემირო ბოლო პერიოდში ხშირად იყო ტრავმირებული და ამის გამო მან ოპტიმალური ფორმა ვერ აღიდგინა.

ბარსელონა ახალ მწვრთნელს ეძებს

ბარსელონა ლივერპულთან წაგების შემდეგ ახალ მწვრთნელს ეძებს და, სავარაუდოდ, ერნესტო ვალვერდეს ზაფხულში გაუშვებენ, თუმცა ეს ინფორმაცია ოფიციალური არ არის. ბარსელონა რამდენიმე ვარიანტს განიხილავს, თუმცა კონკრეტული სახელები არ გაჟღერებულა.

ბარსელონამ ზედიზედ მეორედ გაანიავა ჩემპიონთა ლიგაში სამბურთიანი უპირატესობა და, სავარაუდოდ, ვალვერდეს ამას არ აპატიებენ, მიუხედავად იმისა, რომ მან ორჯერ მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოიდი 2



შვეულად: 1. ქალ-ვაჟის ქართული ხალხური ცეკვა; 2. ვირტუოზი იტალიელი მევიოლინე; 3. სასტუმროს თანამშრომელი; 4. მიწის ფართობის საზომი ერთეული ძველად საქართველოში; 5. სტაფილოში არსებული პიგმენტი; 8. მსახიობის პატივსაცემად გამართული სპექტაკლი; 12. შაქრის ლერწმის არაყი; 13. კამათი ლიტერატურული, მეცნიერული ან პოლიტიკური საკითხების განხილვისას; 14. მტაცებელი ფრინველი; 16. წიაღისეულის მოპოვების ადგილი; 18. უნგრელი კომპოზიტორი; 20. იაპონური ბრინჯის არაყი.

თარაზულად: 6. უბანი ქუთაისში; 7. სამეცნიერო ხარისხის მინიჭება; 8. ცნობილი ფრანგი ბალეტმეისტერი; 9. ბალეტში ცალ ფეხზე ბრუნვის ბიძგის მიმცემი მოძრაობა; 10. სამონასტრო კომპლექსი თეთრიწყაროს რაიონში; 11. თაღლითი, ყალთაბანდი; 15. სტაჟიორი ადვოკატი ბრიტანეთში; 17. ხორვატიის კალათბურთელთა გუნდი; 19. ფირმა „როლექსის“ დამფუძნებელი; 21. მუსლიმთა რელიგიური დოგმების ფანატიკოსი მიმდევარი; 22. ძველებური სამგზავრო ჩანთა; 23. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ფრანგი ავტომრბოლელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა